განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ -სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ უშაფათის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ვარდენ ნიქაბაძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრები:

ნიკოლოზ წულაია -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ლია ბოგვერაძე- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ეკატერინე გავაშელიშვილი-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნინო ბლუაშვილი-უცხო ენების საგნობრივი ექსპერტი;
ნინო ზირაქაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ტოლია კილასონია- ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თეა გაბისონია-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ციცინო თორია-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
ედუარდ ნაკაიძე- სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
მანანა როსტომაშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ უშაფათის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	239885022

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სენაკის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	სენაკის მუნიციპალიტეტი სოფელი უშაფათი
საფოსტო ინდექსი	4100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ushapati@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	ushapati@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	595001992

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2025 წლის 06 მაისის MES 6 25 0000490119 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	5.06.2025-6.06.2025

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	სენაკის მუნიციპალიტეტი სოფელი უშაფათი 1 შენობა
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	სენაკის მუნიციპალიტეტი სოფელი უშაფათი 1 შენობა

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	სენაკის მუნიციპალიტეტი სოფელი უშაფათი 1 შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ უშაფათის საჯარო სკოლის შეფასების პროცესმა ჩაიარა საქმიან, კონსტრუქციულ და მშვიდ ვითარებაში. დაწესებულებაში ვიზიტამდე "თიმსის" სივრცეში ჯგუფისთვის შეიქმნა ვირტუალური კლასი, სადაც ექსპერტებისთვის გაზიარებული იქნა , როგორც სკოლის თვითშეფასების განაცხადი ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. აღსანიშნავია , რომ ვიზიტის დროს სკოლამ შექმნა ყველა პირობა პროცესის სათანადოდ წარმართვისთვის, გამოავლინა თანამშრომლობის მაღალი კულტურა. გამოყო სივრცე შეხვედრებისთვის, განრიგის შესაბამისად ორგანიზებულად შეგვახვედრა თანამშრომელებთან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა, როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ონლაინ შეხვედრა დაიგეგმა პირველ სამუშაო დღეს. პირველ დღეს გაიმართა შეხვედრა ყველა საგნობრივ ჯგუფთან, განხილული იქნა კურიკულუმის შემუშავებისა სხვა ზოგადი საკითხები, ასევე ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ დეტალური პასუხები ცალკეულ ინდიკატორებთან მიმართებაში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5	☐ შეესაბამება

მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

<table>
<tr><td rowspan="3">მოსწავლეთა რაოდენობა:
-250----------</td><td>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება
☐</td><td>აღწერა
(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</td></tr>
<tr><td>ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება
☒</td><td rowspan="2">სკოლას არ აქვს საკმარისი სივრცე . რეაბილიტაციის პროექტით სკოლა გათვლილია 90 მოსწავლეზე.</td></tr>
<tr></tr>
</table>

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3		ხარვეზი

ინდიკატორი N2.1.2.2		•
ინდიკატორი N2.1.2.3		
ინდიკატორი N2.2.2.2		
ინდიკატორი N2.2.2.4		
*სტანდარტი N*2		
N2.1.2.2		•
ინდიკატორი N2.1.2.3		
ინდიკატორი N2.2.1.3		
ინდიკატორი N2.2.2.3		
ინდიკატორი N2.2.2.4		
*სტანდარტი N*2		
ინდიკატორი N2.2.2.3		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	**სკოლამ 2025 წლის 10 სექტემბრამდე სამოქმედო გეგმაში ასახოს შესაბამისი ფინანსური და მატერიალური რესურსები**
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
3.1.2.3. ინდიკატორი	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	**რეკომენდაცია:** სკოლამ 2025 წლის 01 სექტემბრამდე უზრუნველყოს შესაბამისი ვაკანსიების გამოცხადება.

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

3.1.2.4. ინდიკატორი	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	*სკოლამ 2025 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს კვალიფიკაციური კადრების მოძიება და მათი დასაქმება კანონმდებლობის შესაბამისად.*
ინდიკატორი N 3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლამ აღჭურვოს სამედიცინო კაბინეტი შესაბამისი ინვენტარით 2025 წლის 12 სექტემბრამდე.
ინდიკატორი N 3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ 2025 წლის 13 სექტემბრამდე შემოიღოს ორცვლიანი სწავლება და ასახოს ის სასკოლო სასწავლო გეგმაში.
ინდიკატორი N 3.6.1.2	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	სკოლამ უზრუნველყოს 2025 წლის 14 სექტემბრამდე კომპიუტერული ლაბორატორიის როგორც თავისუფალი სივრცის მოწყობა და გაიყვანოს საკლასო ოთახი აღნიშნული კაბინეტიდან;
4.2.1.4	სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით	სკოლამ საკუთარი ინფრასტრუქტურით გაუწიოს მოსწავლეებს ადმინისტრაციული მხარდაჭერა, კერძოდ:

	დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით	ლაბორატორიებიდან გაიყვანოს საკლასო ოთახები 2025 წლის სექტემბრამდე.
სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი დაწყებით საფეხური*	*რეკომენდაცია*
2.1.2.2. ინდიკატორი	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	*სკოლამ მოახდინოს კურიკულუმის კორექტირება 2025 წლის 15 სექტემბრამდე (უცხოურ ენაში* თემის ფარგლებში სრულად არაა დაფარული ყველა სამიზნე ცნება. თითოეულ თემაში იფარება მხოლოდ ერთი სამიზნე ცნება. რიგ შემთხვევებში არასწორადაა მოცემული სამიზნე ცნებები ან არეულია სამიზნე ცნებები ქვეცნებებში. მაგალითად ინგლისური ენის მესამე კლასის კურიკულუმში. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმებში არ არის გაწერილი სტანდარტში მოცემული სავალდებულო თემატური ბლოკები, არ არის ჩაშენებული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები ,რომელზე ორიენტირებაც ხდება თემის ფარგლებში. არ არის დაკონკრეტებული თემა და საკითხი-VI კლასების კურიკულუმებში არ მუშავდება საგნის სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება.

		ბუნებისმეტყველების I-IV კლასების კურიკულუმები საჭიროებს სავალდებულო თემებისა და გრძელვადიანი მიზნების ურთიერთ შესაბამისობაში მოყვანას).
2.2.2.4. ინდიკატორი	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	*2025 წლის 01 სექტემბრამდე უზრუნველყოს* კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებლების მიღება
*სტანდარტი N*2	**სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური**	***რეკომენდაცია***
2.1.2.2. ინდიკატორი	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	*სკოლამ მოახდინოს კურიკულუმის კორექტირება 2025 წლის 15 სექტემბრამდე (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საბაზო საფეხურის კურიკულუმებში არ არის გაწერილი სტანდარტში მოცემული სავალდებულო თემატური ბლოკები, არ არის ჩაშენებული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები ,რომელზე ორიენტირებაც ხდება თემის ფარგლებში. არ არის დაკონკრეტებული თემა და საკითხი.უცხოური ენის კურიკულუმებში არაა მოცემული სავალდებულო თემატური ბლოკები და ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი შედეგები. თემის ფარგლებში სრულად არაა დაფარული ყველა სამიზნე ცნება. წარმოდგენილი ცნებები და ქვეცნებები არის ზოგადი და არაა დაკონკრეტებული კონკრეტულ თავთან მიმართებით ან მოცემულია ისეთი საკითხები რომლებიც არ იფარება წარმოდგენილი თემით. არის შემთხვევები, როდესაც სამიზნე ცნებები დასახელებულია არასწორად)*

ინდიკატორი N2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	2025 წლის 02 სექტემბრამდე სკოლამ უზრუნველჰყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა (კერძოდ, ლაბორატორია აღჭურვოს ფიზიკის ცდებისთვის საჭირო ხელსაწყოებით).
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	*რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	2025 წლის 02 სექტემბრამდე სკოლამ უზრუნველჰყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა (კერძოდ, ლაბორატორია აღჭურვოს ფიზიკის ცდებისთვის საჭირო ხელსაწყოებით).

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.	**სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**	*სკოლის მისიაში საუბარია სასწავლო დისციპლინის გაუმჯობესებაზე. სასურველია სასწავლო დისციპლინის გაუმჯობესება იყოს არა მისიის ნაწილი, არამედ მისიის რეალიზების საშუალება, როგორც ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი („სასწავლო დისციპლინის გაუმჯობესება“ თავისი ბუნებით არის არა საბოლოო მიზანი, არამედ აუცილებელი*

		პირობა და საშუალება (ინსტრუმენტი) იმისთვის, რომ სკოლამ შეძლოს მისიის წარმატებით შესრულება. დისციპლინირებული და უსაფრთხო გარემოს გარეშე რთულია ინოვაციური მეთოდების დანერგვა, მოსწავლის შესაძლებლობების სრულად გამოვლენა ან თავისუფალი აზროვნების ხელშეწყობა).
ინდიკატორი 1.2.1.2	1. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	• სკოლამ ყურადღება მიაქციოს დოკუმენტების დასახელებას , მაგალითად წლიურ სამოქმედო გეგმას სათაურში უწერია „სტრატეგიული“. • 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის დასაწყისში აღნიშნულია, რომ შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, თუმცა სკოლას მეთოდოლოგიაში უწერია , რომ ამ დოკუმენტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო (როგორც ეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის #785 ბრძანებთ არის განსაზღვრული) . შესაბამისად სტრატეგიული განვითარების გეგმაც და ცვლილებებიც შეთანხმების ნაცვლად უნდა დაამტკიცოს სამეურვეო საბჭომ.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი N. 3.1.1	**სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**	*სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს თანამდებობრივი ინსტრუქციები საშტატო ნუსხასთან*
ინდიკატორი N 3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსდეს კომპიუტერი და შესაბამისი ტექნიკა გონივრულ ვადაში, რათა ბიბლიოთეკამ შეძლოს დებულების შესაბამისად ფუნქციონირება.
ინდიკატორი N 3.5.1.4	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლამ გააფართოვოს რესურს-ოთახი*
ინდიკატორი N 3.6.3.4	**სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**	*სკოლამ მუდმივად განაახლოს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	*რჩევა*

ინდიკატორი N. 2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	ჩასწორდეს და მოწესრიგდეს კურიკულუმები, კერძოდ- დაწყებით (I-IV) რათა კურიკულუმები ორიენტირდეს გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვროს საფეხურის დონეზე- ე.ს.გ.მიხედვით სტანდარტში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების სახით მომავალში კათედრამ ურთიერთ თანამშრომლობის საფუძველზე, შეიმუშაონ სრულფასოვანი კურიკულუმები, რომლებიც სრულ შესაბამისობაში იქნებიან ესგ-ს სტანდარტთან.
2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***სახელმწიფო ენის*** *კურიკულუმის ჩარჩოში ,სასურველია, ყველა თემისთვის განისაზღვროს დასამუშავებელი ცნებები , ქვეცნებები და საკითხები; სასურველია, კათედრის წევრებმა გადახედონ კურიკულუმს, იხელმძღვანელონ სტანდარტით და შეავსონ შესაბამისად.* *ასევე, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში არის მცირე ცდომილებები და სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს სამომავლოდ, კონკრეტულად: მეოთხე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ზოგი თემისთვის ცნებებად განსაზღვრულია ჟანრი და კომპოზიცია, ზოგ შემთხვევაში კომპლექსურის იდეა და ცნებები არ შეესაბამება ერთმანეთს. კათედრის წევრებმა იხელმძღვანელონ სხვა დაწყებითი კლასის კურიკულუმით ,ეროვნული სასწავლო გეგმით და შეავსონ შესაბამისად.* ***მათემატიკაში დაწყებითი საფეხურის (პირველი კლასის) კურიკულუმში ყველა თემაში დამუშავდეს სამივე სამიზნე ცნება.***
2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ**	• *სასურველია კურიკულუმებში ჩაშენებული ელექტრონული რესურსების ბმულები გახდეს მოქმედი.* • სასურველია, სახელმწიფო ენის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების კურიკულუმები გამდიდრდეს

	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	სხვადასხვა ტიპის რესურსებით თითოეული შესასწავლი თემის ფარგლებში.
2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	• ***სახელმწიფო ენაში*** *სასურველია, შუალედურ მიზნებზე მუშაობის დროს მოხდეს კურიკულუმით დაგეგმილი დავალებების პირობის ადაპტირება მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე. მოსწავლეებისთვის არჩევანის მიცემა, მათი შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მათ პროგრესს.* • *დაგეგმოს და განახორციელოს სადიაგნოსტიკო შეფასებები, რაც ხელს შეუწყობს საბაზისო უნარების (* ***კითხვა და მათემატიკური წიგნიერება****) ზუსტ და დროულ განსაზღვრას ინტერვენციების ასამოქმედებლად.*
2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	***მათემატიკაში*** *I-IV კლასისთვის შეიქმნას განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კომპლექსური დავალების/თემის.* ***ტექნოლოგიებში*** *განმსაზღვრელი შეფასებაში მკაფიოდ უნდა ჩანდეს საკითხი, თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით, შეფასების კრიტერიუმები, სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკას ახლდეს გრაფა კომენტარებისთვის, რომლის საშუალებითაც მასწავლებელი ახსნის, თუ რატომ შეაფასა მოსწავლე ამა თუ იმ ქულით.* **ზოგადად I-IV კლასებში** თითოეული დავალების ფარგლებში შექმნან და გამოიყენონ შეფასების რუბრიკები,

		რომლებიც დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	*რჩევა*
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	• ***ბუნებისმეტყველებაში*** *სასურველია მასწავლებლებმა გაითვალისწინონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ე.ს.გ.-ის სტანდარტით შექმნის პრინციპები: კერძოდ, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა უნდა შედგეს სამიზნე ცნების, შედეგების მიღწევის ინდიკატორების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში .* • ***ესთეტიკური აღზრდაში*** *სასურველია დაიხვეწოს შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე მატად მოერგოს თემას და შესასწავლ საკითხს, იკითხებოდეს მასში თუ რომელი სამიზნე ცნების ქვეცნებებთან მიმართებით შეფასდა მოსწავლის ცოდნა. სასურველია გადაიხედოს VII კლასის შეფასების რუბრიკა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და ჩასწორდეს მაქსიმალური შეფასება 6 ქულა 10 ქულად.* • ***სახელმწიფო ენაში*** *გააგრძელონ მუშაობა შეფასების რუბრიკებზე და შეიმუშაონ ყველა საფეხურზე კონკრეტული დავალების/ აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დაკონკრეტდება შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით.*

		• *უცხოურ ენაში* *გადაიხედოს შეფასების რუბრიკები, გაიწეროს ისინი კონკრეტულ დავალებებთან მიმართებით და თან ახლდეს 10 ბალიან სისტემაში კონვერტაციის პრინციპი.*
2.3.2.1	**შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**	*შემდგომში* ***სპორტის*** *მიმართულებით სასურველია სკოლამ განმსაზღვრელი შეფასების გადამუშავების დროს და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი და სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი.* ***საზ მეცნიერების*** *მიმართულებით .შეფასება მოიცავდეს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვება უნდა ეყრდნობოდეს სხვადასხვა წყაროებს.*
სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური*	
ინდიკატორი 2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	*ჩასწორდეს და მოწესრიგდეს კურიკულუმები, კერძოდ. საშუალო საფეხურზე ბიოლოგია XI კლასში, რათა კურიკულუმები ორიენტირდეს გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვროს საფეხურის დონეზე- ე.ს.გ.მიხედვით სტანდარტში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების სახით მომავალში კათედრამ ურთიერთ თანამშრომლობის საფუძველზე, შეიმუშაონ სრულფასოვანი კურიკულუმები, რომლებიც სრულ შესაბამისობაში იქნებიან ესგ-ს სტანდარტთან.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

წარმოდგენილი დოკუმენტებით სკოლის მისიაა უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა და ინკლუზია სასწავლო გარემოში, აღზარდოს თავისუფალი აზროვნებისა და ტრადიციების პატივისმცემელი ტოლერანტი მოქალაქე, რომელსაც ქცევასა ან/და კომპეტენციაში ექნება გამოხატული ისეთი უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები რომლებიც შეესაბამება ეროვნულ და ევროპულ ღირებულებებს. იგივე შინაარსია გატარებული ხედვის დოკუმენტში აღნიშნული სრულ შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

რჩევა: *სკოლის მისიაში საუბარია სასწავლო დისციპლინის გაუმჯობესებაზე. სასურველია სასწავლო დისციპლინის გაუმჯობესება იყოს არა მისიის ნაწილი, არამედ მისიის რეალიზების საშუალება, როგორც ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი („სასწავლო დისციპლინის გაუმჯობესება“ თავისი ბუნებით არის არა საბოლოო მიზანი, არამედ აუცილებელი პირობა და საშუალება (ინსტრუმენტი) იმისთვის, რომ სკოლამ შეძლოს მისიის წარმატებით შესრულება. დისციპლინირებული და უსაფრთხო გარემოს გარეშე რთულია ინოვაციური მეთოდების დანერგვა, მოსწავლის შესაძლებლობების სრულად გამოვლენა ან თავისუფალი აზროვნების ხელშეწყობა).*

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა აქცენტს აკეთებს იმაზე რომ უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა და ინკლუზია სასწავლო გარემოში. დასახული აქვს შესაბამისი მიზნები საკუთარი მისიის მისაღწევად , როგორიცაა : ქმნის უსაფრთხო, თბილ და მოტივაციურ საგანმანათლებლო სივრცეს, სადაც მოსწავლე თავს ღირსეულად და დაცულად გრძნობს;

•ნერგავს ინოვაციურ და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო მიდგომებს, ამავდროულად ხელს უწყობს ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას;
•უზრუნველყოფს მოსწავლეთა პიროვნული და აკადემიური ზრდის ხელშეწყობას, მათ საჭიროებებსა და პოტენციალზე მორგებული გარემოს შექმნით;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში აქტიურად არის ჩართული მთელი სასკოლო საზოგადოება. სკოლის სტრატეგიული გეგმის წარდგენა მოხდა როგორც პედაგოგიურ საბჭოსთან, ასევე მშობლობებთან . დაწესებულებაში დანერგილია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც სასკოლო თემი მონაწილეობს ცვლილებების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ახალი გამოწვევების ფონზე გათვალისწინებულ იქნა მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები. მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით შეტანილი იქნა ცვლილებები, რომელიც აისახა სტრატეგიული გეგმის საბოლოო ვარიანტში. სკოლაში მოქმედებს დემოკრატიული მართვის სისტემა, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების აზრის გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

ვიზიტის პერიოდში სკოლის საქმიანობაზე დაკვირვებით, ასევე გასაუბრებით აშკარად გამოიკვეთა, რომ სკოლის მისია და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლამ დოკუმენტი განიხილა პედაგოგიურ საბჭოზე, მოსწავლეებთან და მშობლებთან, დახურულ სამუშაო თიმსის და მესენჯერის ჯგუფებში, სასკოლო თემში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

ავტორიზაციის განხორციელების მომენტისთვის სკოლის არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები ფართო ფორმატის ფურცელზე ამობეჭდილი და გაკრული იყო სკოლის ფოიეში . ასევე სკოლამ სამინისტროს მხარდაჭერით შექმნა ვებგვერდი, სადაც ატვირთულია სკოლასთან დაკავშირებული ცალკეული დოკუმენტები, მათ შორის სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის # 448 ბრძანებით სკოლის სახელწოდება შესაბამისობაშია კანონმდებლობით დაწესებული ტერმინთან. სკოლის რეკვიზიტებში, სკოლასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტში, მათ შორის ამონაწერში საჯარო რეესტრიდან სკოლა მოიხსნიება, როგორც: “ სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ უშაფათის საჯარო სკოლა“.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ინტერვიუ

სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

   სკოლას აქვს მისიის ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი რომელიც დეტალურად განსაზღვრავს და არეგულირებს , როგორც მისიისა და ხედვის ასევე სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების საკითხებს , ისე რომ მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული ჯგუფის ინტერესები.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

   სკოლას განაცხადთან ერთად წარმოდგენილი ჰქონდა სხვა სტრატეგიული განვითარების გეგმა , ვიზიტის დროს დაგვახვედრა განახლებული 7 წლიანი განვითარების გეგმა (განახლებული ხედვით და მისიით). წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა დიდწილად შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს. გეგმის სტრუქტურა ლოგიკურად არის აგებული მისიიდან გამომდინარე.

   მისიის კომპონენტები და შესაბამისი მიზნები/ამოცანები:

   სკოლის მისია რამდენიმე კომპონენტისგან შედგება, რომელთაგან თითოეულს გეგმაში კონკრეტული მიზნები და ამოცანები ეხმიანება.

   - მისიის ნაწილი: „გააუმჯობესოს სასწავლო დისციპლინა“ და „უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა“.

   შესაბამისი მიზანი: უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება.

   შესაბამისი ამოცანები:

მასწავლებელთა მორიგეობის დაწესება მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და დისციპლინის დასაცავად.
სკოლის ტერიტორიის დაცვა და შიდა კამერების დამონტაჟება.
მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა და განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმების შექმნა.
სხვადასხვა სასწავლო აქტივობების (პროექტები, კონკურსები, ოლიმპიადები) ხელშეწყობა.

- მისიის ნაწილი: „დანერგოს სწავლა/სწავლების ინოვაციური მეთოდები“.

შესაბამისი მიზანი: სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება ინოვაციური და ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული მეთოდების დანერგვით.
შესაბამისი ამოცანები:
საგაკვეთილო პროცესის მოდერნიზაცია ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით.
მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარების ტრენინგებისა და ვებინარების ორგანიზება.
ინოვაციური იდეების განვითარების ხელშეწყობა, რათა მასწავლებლებმა საინტერესოდ წარმართონ გაკვეთილი.
სკოლის სასწავლო პროგრამების მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა.

- მისიის ნაწილი: „უზრუნველყოს... ინკლუზია სასწავლო გარემოში“.

შესაბამისი მიზანი: ინკლუზიური, უსაფრთხო და მოტივაციური სასწავლო გარემოს შექმნა.
ამ შემთხვევაშიც გვაქვს შესაბამისი ამოცანებიც

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

რჩევა:

- **სკოლამ ყურადღება მიაქციოს დოკუმენტების დასახელებას , მაგალითად წლიურ სამოქმედო გეგმას სათაურში უწერია „სტრატეგიული“.**
- **7 წლიანი სტრატეგიული განვითარების დოკუმენტს აწერია რომ შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, არადა სკოლას მეთოდოლოგიაში უწერია , რომ ამ დოკუმენტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო (როგორც ეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის #785 ბრძანებთ არის განსაზღვრული) . შესაბამისად სტრატეგიული განვითარების გეგმაც და ცვლილებებიც შეთანხმების ნაცვლად უნდა დაამტკიცოს სამეურვეო საბჭომ.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სრულად ასახავს და ახდენს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტების ოპერაციონალიზაციას. თითქმის ყველა სტრატეგიული მიმართულება გარდაქმნილია კონკრეტულ, დროში გაწერილ (თვეების მიხედვით) და პასუხისმგებელი პირების მქონე აქტივობებად, რაც უზრუნველყოფს გრძელვადიანი ხედვის თანმიმდევრულ და სისტემურ განხორციელებას 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის 2024-25 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია გეგმის შესრულების გაზომავდი მექანიზმები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები, სტრუქტურული ერთეულები, რაც შეეხება რესურსებს სკოლას გეგმაში არ აქვს განსაზღვრული თუ რა ფინასური თუ მატერიალური რესურსით უზრუნველყოფს კონკრეტული პუნქტის განხორციელებას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი

რეკომენდაცია: სკოლამ 2025 წლის 10 სექტემბრამდე სამოქმედო გეგმაში ასახოს შესაბამისი ფინანსური და მატერიალური რესურსები

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისიის ხედვისა და სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია
- 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ზეპირი ინტერვიუ
- 2024-25 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

   სკოლას აქვს მისიის ხედვისა და სტრატეგიული განვითრების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის მე-10 მუხლი მთლიანად ეთმობა მონიტორინგის საკითხებს. დეტალურადაა გაწერილი , როდის როგორი პერიოდულობით უნდა განხორციელდეს სამოქმედო გეგმების შეფასება და განახლება.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა ახალი შემუშავებულია , შესაბამისად მონიტორინგის საჭიროება მოგვიანებით გაჩნდება ზოგადად სკოლას აქვს მონიტორინგის შეფასების კულტურა : მაგალითად სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის და ფინანსური ანგარიშების მონიტორინგი და შეფასება ხდება დირექტორის ანგარიშის წარდგენით სამეურვეო საბჭოსთვის მიმდინარე წლის 10 დეკემბრამდე. ასევე სხვა ყველა დაინტერესებული სტრუქტურული ერთეულისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა ახალი შემუშავებულია , განხორცილების შედეგები მოგვიანებით გახდება ცნობილი . სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიაში ცალსახად გაწერილია რომ გეგმების განხორცილების შედეგები უნდა იყოს საჯარო . ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სკოლის წარმომადგენლებს სრულად აქვთ გააზრებული შედეგების საჯაროობის მნიშვნელობა, აქვთ მზაობა ამ მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის სტრატეგიული გეგმა ახალი დამტკიცებული აქვს შესაბამისად ამ დროისთვის არ გასულა ერთ ციკლისთვის საჭირო თუნდაც ერთი სამოქმედო წელი . ინტერვიუდან გამოიკვეთა რომ სკოლას გააზრებული აქვს გასული სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის რეფლექსის გათვალისწინების აუცილებლობა შემდგომი განვითარებისთვის . სკოლა ამ მიმართულებით გამოხატავს სრულ მზადყოფნას .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისიის ხედვისა და სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სკოლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა (განახლებული)
- 2024-25 წლის წლიური სამოქმედო გეგმა
- დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში ფინანსური და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

ფუნქციები გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციებში, რომელიც დირექტორის ბრძანებით (N2-19 26.02.2025) არის დამტკიცებული. თანამშრომელთა ფუნქციებზე საუბარია ასევე ხელშეკრულებებში. სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლაში შექმნილია პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინარული კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფი. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სტრუქტურული ერთეულების დებულებები, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული ფუნქციები.

აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები/პირები შერჩეულია და მათი ფუნქცია/ მოვალეობები განსაზღვრულია ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. სკოლას თანამდებობრივ ინსტრუქციებში მოხსენიებული ყავს სკოლის დირექტორის მოადგილე, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ექიმი, ცეცხლფარეში. ეს თანამდებობები შტატით არ არის განსაზღვრული. ამასთან, დირექტორის მოადგილის ფუნქციები ცდება ზოგადად სკოლის მისიას, რადგან მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას (იხ. პუნქტები: 2.24; 2.25; 2.26; 2.27; 2.30.2.31; 2.32; 2.33; 2.34; 2.35; 2.36; 2.39;2.40; “თანამდებობრივი ინსტრუქციები). სკოლამ ასევე წარმოადგინა “საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესდება. ამ დოკუმენტში ჩნდება ახალი თანამდებობები - ხარისხის მართვის თავმჯდომარე და საინფორმაციო მენეჯერი. სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის დოკუმენტები შეუსაბამოს სკოლის რეალურ საშტატო ნუსხას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, რომელიც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით: სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების შესახებ და თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებებით, სადაც სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები

ისეა განაწილებული, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ეფექტურად წარიმართოს და ხელი შეეწყოს სწავლების თანამედროვე სტრატეგიებისა და ინოვაციების დანერგვას. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ყველა სტრუქტურული ერთეულის საქმიანობა სკოლის მისიის შესრულებას ემსახურება. სტრუქტურული ერთეულები/პირები ურთიერთანამშრომლობით არეგულირებენ სასწავლო გარემოს, სწავლა/სწავლების პროცესის მართვას და შეიმუშავებენ სკოლის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. მათ კარგად იციან ის პასუხისმგებლობა და ფუნქცია, რაც ეკისრებათ.

სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები შესაბამისობაშია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან და სტრატეგიულ გეგმებთან, რაც დასტურდება როგორც სკოლაში არსებული დოკუმენტაციით, ასევე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით. სკოლის თითოეულ თანამშრომელს გათავისებული და გაზიარებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა და სხვებთან თანამშრომლობა საერთო საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- "თანამდებობრივი ინსტრუქციები”
- “საზოგადოებასთან ურთიერთობის წესდება”
- დასაქმებულებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები
- შინაგანაწესი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, თანამშრომელთა ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია შინაგანაწესი და მისი გაცნობის ფაქტი დასტურდება ხელშეკრულებაზე ხელმოწერით. ხელშეკრულებებში იყო დარღვევები, კერძოდ: დარაჯთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული იყო რომ დარაჯს ანაზღაურება ეძლევა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან. სკოლას კი ამგვარი შემოსავალი არ უფიქსირდება. ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლამ შეასწორა ხელშეკრულებები, და წარმოადგინა ხელშეკრულების ახალი ვარიანტი ძველი დროით. **ტექნიკურად, სკოლას ცვლილება უნდა შეეტანა აღნიშნულ ხელშეკრულებაში ან ახალი ხელშეკრულება უნდა დაედო.** გარდა ამ სკოლას დამტკიცებული წესდება, სადაც დამატებით აქვს პერსონალის სხვადსხვა ფუნქციები გაწერილი . მაგრამ პრობლემა იმაშია , რომ ზოგადი განათლების კანონის 26-ე მუხლის ნ ქვეპუნქტის შესაბამისად . საჯარო სკოლის წესდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამტკიცებს.
სკოლამ შესაბამისობის გეგმით წარმოადგინა ახალი ხელშეკრულებები და ასევე გამოსცა ბრძანება N 2-68 რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა 2025 წლის 6 თებერვლის N2-13 ბრძანება წესდების დამტკიცების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლა ახორციელებს ინტერვენციული და პრევენციული მართვის პოლიტიკას. კარგად არის გათვლილი და ჩამოყალიბებული პერსონალთა უფლება - მოვალეობები.
სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის ძირითადი მიმართულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები და საკონკურსო კომისიის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია. ხელშეკრულებების მიხედვით, სკოლას დაწყებით საფეხურზე ყავს 5 მოწვეული მასწავლებელი. EMIS-ის ბაზის მიხედვით კი სკოლას მოწვეული მასწავლებელი არ ყავს, სამაგიეროდ ბაზაში ფიქსირდება 2 შემცვლელი მასწავლებელი. სამწუხაროდ სკოლამ დოკუმენტურად ვერ წარმოადგინა შემცვლელი მასწავლებლების მიზნობრიობა. ვერ ასაბუთებს რა საფუძვლით და კონკრეტულად, რომელი მასწავლებლის შემცვლელად აიყვანა ეს მასწავლებლები სკოლას 2023 წლის 14 სექტემბრის შემდეგ არ გამოუცხადებია ვაკანსია https://teacherjobs.ge/ -ზე დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის ვაკანტურ ადგილზე ვაკანსიის შესავსებლად.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა რომლის მიხედვითაც სკოლამ გამოაცდა ვაკანსიები, კერძოდ: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის პოზიციაზე (I-XI კლასები), მუსიკა (I-XI კლასები), ქართული ენა და ლიტერატურა (I-IV კლასები), ფიზიკური აღზრდა და სპორტი I კლასი.

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი

რეკომენდაცია: სკოლამ 2025 წლის 01 სექტემბრამდე უზრუნველყოს შესაბამისი ვაკანსიების გამოცხადება.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. პირადი საქმეების შესწავლისას გაირკვა, რომ სკოლას ყავს 5 არასერტიფიცირებული მოწვეული მასწავლებლები, რომელთაგან ორს აქვს ტექნიკური სასწავლებლის (კოლეჯის)

დიპლომი, ხოლო დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელს აქვს იურისტის კვალიფიკაცია.

შესაბამისობის გეგმით სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, კერძოდ: სკოლამ გამოაცხადა ვაკანსიები კვალიფიციური კადრების მოსაზიდად. ვიზიტის დასრულების შემდეგ დაწყებითი საფეხურზე ასწავლის 11 მასწავლებელი. აქედან შვიდს აქვს დადასტურებული კომპეტენცია, 4 მათგანს არ აქვს დადასტურებული კომპეტენცია

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი

რეკომენდაცია: *სკოლამ 2025 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს კვალიფიკაციური კადრების მოძიება და მათი დასაქმება კანონმდებლობის შესაბამისად.*

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

პერსონალის მართვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა გუნდური და თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას, რაც დასტურდება საგნობრივი კათედრების, სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, ხარისხის მართვის ჯგუფის, საგნობრივი კათედრების, ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის, ისგ ჯგუფების სხდომის ოქმებით.
სკოლის პერსონალთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ ისინი ჩართულნი არიან და მონაწილეობენ სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და პრობლემების მოგვარებაში. კათედრის ფარგლებში და კათედრებს შორის არის ეფექტური თანამშრომლობა. სკოლის თანამშრომლები ჩართული არიან საკონკურსო კომისიებში.
ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ თანამშრომლებს ეძლევათ გარკვეული თავისუფლება, შეუძლიათ დამოუკიდებლად მოქმედება, გადაწყვეტილების მიღება და მასზე პასუხისმგებლობის აღება. მონაწილეობით ორგანიზაციულ კულტურაზე დაყრდნობით სკოლაში ხორციელდება ეფექტური კომუნიკაცია, მოსმენა, ურთიერთპატივისცემა და უკუკავშირი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილებისა აღიარებისა და გაზიარების სხვადასხვა საშუალება, ურთიერთდასწრება, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, ერთობლივი პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები. მასწავლებლები რეგულარულად ახორციელებენ შეხვედრებს სხვა პედაგოგებთან, აცნობენ სიახლეებს და უზიარებენ ტრენინგებზე მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას.

სკოლის შინაგანაწესში თანამშრომელთა წახალისების გამჭვირვალე სისტემაა მოცემული:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მიზნით იყენებს სკოლის საინფორმაციო დაფას, თიმსის პლატფორმას და სოციალურ ქსელს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სკოლის ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები
- შინაგანაწესი
- პირადი საქმეები
- https://teacherjobs.ge/ ზე გამოცხადებული ვაკანსიები
- საკონკურსო კომისიის ოქმები

- ინტერვიუ
- კათედრის ოქმები
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები
- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- ხარისხის მართვის ჯგუფის ოქმები
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები
- შესაბამისობის გეგმა თანდართული დოკუმენტებით (დანართი N 3; 4; 5; 7; 14; 20; 21; 6; 16; 22; 43; 47; 41; 39; 38; 42; 46;)

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვების პროცესში (გაკვეთილებზე დასწრება) ხელმძღვანელობს წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების საფუძველზე. პედაგოგთა შეფასებას ახორციელებს ასევე საგნობრივი კათედრების წარმომადგენლები წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების შესაბამისად. ხარისხის ჯგუფის წევრები, დირექცია, კათედრის წარმომადგენლები აკვირდებიან მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესს, ხდება მათი პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა, შესაბამისად იძლევიან უკუკავშირს, რომელთა გათვალისწინებაც ხდება მასწავლებელთა მიერ შემდგომ მუშაობაში. სკოლამ ვიზიტის პერიოდში მტკიცებულებად წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის ანგარიშები, სადაც აღწერილია გაკვეთილზე დასწრების ანალიზები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

თანამშრომელთა შეფასება ხორციელდება სამუშაო პროცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგებზე დაკვირვების საფუძველზე, კოლეგების მხარდაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე დაყრდნობით. საგნობრივი კათედრები, დირექცია სწავლობს მასწავლებლის მუშაობის ხარისხს, მიღწევებს, გამოკვეთს საჭიროებებს და აძლევს სათანადო უკუკავშირს. პერსონალის განვითარების პროცესს ხელს უწყობს მასწავლებელთა სავალდებულო თუ საკუთარი სურვილით არჩეული ტრენინგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სკოლის დირექციასთან და ხარისხის მართვის ჯგუფთან - განიხილავენ გაკვეთილებზე დასწრების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებს და ითვალისწინებენ მომავალი საქმიანობის დაგეგმვისას. დირექცია შეძლებისდაგვარად ეხმარება მასწავლებლებს საჭირო რესურსებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლა მუდმივად ზრუნავს უზრუნველყოს თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციაზე, სამუშაო გარემოს კეთილმოწყობაზე, უსაფრთხოება და საგანმანათლებლო, საკანცელარიო, სანიტარულ-ჰიგიენური რესურსებით აღჭურვაზე. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ მათ საშუალება აქვთ იმუშაონ თავიანთი სტრუქტურიდან გამომდინარე შესაბამის გარემოში. მათთვის გამოყოფილია თავისუფალი სივრცე და ხელმისაწვდომია საჭირო რესურსები. ახალ მასწავლებელს ადაპტაციაში ეხმარება სკოლა. კათედრა აცნობს სწავლა-სწავლების სპეციფიკას, დამხმარე რესურსებს, დირექცია აცნობს სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებს და ინფრასტრუქტურას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავდნენ, რომ სკოლა ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობას ტრენინგებზე, სემინარებზე, კონფერენციებსა და შეხვედრებზე. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მასწავლებლებს პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელ და საჭირო ტრენინგ-მოდულებზე, ასევე სკოლის დირექციის მიერ მხარდაჭერილია მასწავლებელთა ინიციატივით დაგეგმილი სხვადასხვა პროფესიული განვითარებისათვის საჭირო აქტივობების განხორციელება, კერძოდ, შიდა კონფერენციები, პროექტები, ურთიერთდასწრებები და კათედრების აქტიური თანამშრომლობა. საგნობრივმა კათედრებმა წარმოადგინეს ამ ღონისძიებების ამსახველი მასალა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ინტერვიუ
- მასწავლებლების პირადი საქმეები
- ინტეგრირებული გაკვეთილები
- ურთიერთდასწრებები/ უკუკავშირი
- კათედრების მიერ წარმოდგენილი მასალა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას ჰყავს ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფი. ჯგუფის მუშაობა განისაზღვრება დებულებით, რომლის მიხედვითაც ხორციელდება პედაგოგთა დაკვირვება, შეფასება და სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა. შესაბამისად სკოლა ახდენს ხარისხის მონიტორინგს, შედეგებს უზიარებენ თანამშრომლებს და მშობლებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

ინტერვიუერების დროს სასკოლო საზოგადოების წევრებმა აღწერეს სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა, კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება,

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება, კარიერული განვითარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას შინაგანაწესის შესაბამისად განსაზღვრული აქვს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის წესი. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი. სკოლამ ასევე წარმოადგინა ცალკე დოკუმენტად საჩივრის წარდგენის პროცედურები. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, საჩივრის წარდგენის პროცედურებთან დაკავშირებით დაუშვებელია ნებისმიერი სახით ძალადობა ან დისკრიმინაცია. მებისმიერი განცხადება/საჩივარი სკოლაში რეგისტრაციაში უნდა გატარდეს. განცხადება/საჩივარს განიხილავს სკოლის დირექტორი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სასკოლო საზოგადოების კანონიერი უფლებები დაცულია სკოლის შინაგანაწესში გაწერილი პირობების შესაბამისად. შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, საინფორმაციო დაფაზე. შინაგანაწესში განსაზღვრულია მათი უფლებები, ვალდებულებები, გასაჩივრების წესი. სკოლას დადებული აქვს ხელშეკრულება ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. ხელშეკრულებებში გაწერია მშობლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი

- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები
- საჩივრის წარდგენის პროცედურები
- ინტერვიუ

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას სკოლა ახორციელებს შეხვედრებით სტრუქტურულ ერთეულებთან: პედაგოგიურ კოლექტივთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან, მშობლებთან, იღებენ მათგან უკუკავშირს და ახდენენ შესაბამის რეაგირებას. ამ მიზნით იყენებენ ელექტრონულ ჟურნალს, Microsoft Teams - ის პლატფორმას, დამრიგებელთა და მასწავლებელთა სოციალურ გვერდებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა ნათლად ჩანს სამეურვეო საბჭოს შემადგენლობის არჩევასა და დაკომპლექტების წესში. მშობლები ირჩევენ თავიანთ წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოში, დისციპლინურ კომიტეტში წარადგენენ წევრ მშობელს. სკოლის თვითმმართველობის წევრი, საშუალო საფეხურის მოსწავლე, არის დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში.

სკოლას ჰყავს სამეურვეო საბჭო, სკოლის დისციპლინარულ კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, პედაგოგიური საბჭო და თვითმმართველობა.

აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ინტერვიუდან ნათელია, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც დასტურდება სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს წევრებთან ინტერვიუებითა და სხდომის ოქმებით.
სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა აქტიურ ჩართულობას. მშობელს მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია მოსწავლის როგორც აკადემიური მოსწრების, ისე ქცევის შესახებ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები
- მშობელთა კრებების ოქმები
- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- მოსწავლეთა გამოკითხვის რუბრიკები
- სკოლაში განხორციელებული პროექტები
- დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი
- ინტერვიუ

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლა არის ორ სართულიანი, გარემონტებული. აღჭურვილია ვიდეო სათვალთვალო სისტემით. ვიდეო სათვალთვალო სისტემაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის დარაჯს, თუმცა ამ დროისთვის სკოლის დარაჯის ოთახი არ არის აღჭურვილი შესაბამისი მატერიალური რესურსით. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა წერილი (06.05.2025), რომლითაც რესურსცენტრს სთხოვს შუამდგომლობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, რათა უსაფრთხო სამუშაო სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად დათვალიერდეს სკოლის შენობა-ნაგებობა და შეფასდეს ის სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისად. სკოლამ ასევე წარმოადგინა მიწერილობა (8.05.25), რომლითაც ითხოვს სკოლის შენობა ნაგებობის (1197,7 კვადრატული მეტრის) სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას. სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. სკოლას ჰყავს დარაჯი და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

შესაბამისობის გეგმით სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, კერძოდ: სკოლამ შეათანხმა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (30.07.2025); ექსპერტიზის დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (15.07.2025); სკოლამ დარაჯის ოთახი აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების (N41/ნ-23/ნ) მიხედვით სკოლას, რომლის მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება 50 მოსწავლეს, უნდა ყავდეს ექიმი. სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ უშაფათის სკოლას ყავს ექთანი, აქვს სამედიცინო კაბინეტი. იგი მდებარეობს პირველ სართულზე. არსებობს როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივი განათების წყარო. გამართულად ფუნქციონირებს ხელსაბანი, რომელიც აღჭურვილია თხევადი საპნითა და ხელის გასამშრალებელი ერთჯერადი საშუალებებით. სამედიცინო კაბინეტში ხელმისაწვდომია სადეზინფექციო საშუალება. იატაკი იძლევა სველი წესით დალაგების საშუალებას. სამედიცინო კაბინეტში არსებობს შირმა, რომელიც პაციენტის გასინჯვისას პრივატულობას უზრუნველყოფს. ექთანი არ აწარმოებს მედიკამენტების გაცემის ჟურნალს, არ არის შევსებული სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების აღრიცხვის ფორმები, სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი არ შეესაბამება ზემოთ აღნიშნული ბრძანების დანართის ფორმას. სკოლამ ვერ წარმოადგინა მედიკამენტების შეძენის/განახლების დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტი. სამედიცინო კაბინეტს აკლია შემდეგი ინვენტარი: სანიტაიზერი, კომპიუტერი, პულსოქსიმეტრი, ინჰალატორი, მხედველობის ცხრილი, ხელის სანათი, კისრის ფიქსატორი, სამედიცინო მაკრატელი, პინცეტი, გადაუდებელი დახმარების ჩანთა, ერთჯერადი შპადელები და ბაქტერიოციდული პლასტირები. ასევე არ აქვს მედიკამენტების გარკვეული ნაწილი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა ჰქონდეს, კერძოდ: ცენტრალური მოქმედების ტკივილგამაყუჩებლები; ანტიჰისტამინური საშუალებები; ღებინების საწინააღმდეგო საშუალებები; ანტიბრონქოსპაზმული საშუალებები; სპაზმოლიზური საშუალებები; პროტონული ტიმბოს ინჰიბიტორი; დიარეის საწინააღმდეგო საშუალებები; ანტაციდები; ადგილობრივი გამოყენების ანთების საწინააღმდეგო საშუალებები ფარინგიტის და ტონზილიტის დროს; თვალის წვეთები; ცხვირის წვეთები და ყურის წვეთები. ექთანთან გასაუბრებისას, აღინიშნა რომ სამედიცინო კაბინეტი აქტიურად არის

ჩართული მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზებაში. ექთანი ერთვება სკოლის სხვა პერსონალთან ერთად სასკოლო ღონისძიებებში. “ჰიგიენის დღე 5 მაისი”.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლამ შეიძინა მედიკამენტები, ხოლო ინვენტარის შესაძენად სამინისტროსთან შუამდგომლობით მიმართა რესურს ცენტრს.
ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი

> რეკომენდაცია: *სკოლამ უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის სრულად აღჭურვა საჭირო სავალდებულო ინვენტარით 2025 წლის 12 სექტემბრამდე;*

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სკოლის შინაგანაწესით. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფაში ჩართულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, კლასის დამრიგებლები და სკოლის დარაჯი. აღნიშნული დოკუმენტებითა და პროცესში ჩართული პირებით სკოლა არეგულირებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილებას. მიმდინარეობს შესასვლელი კარის მუდმივი მეთვალყურეობა სკოლის დარაჯის მიერ, რომელიც აკონტროლებს შემოსულ პირებს. სკოლას აქვს სკოლის ტერიტორიაზე შემოსულ პირთა აღრიცხვიანობის სისტემა - შემოსული პირების გატარება ხდება შესაბამის ჟურნალში. სკოლაში გამოვლენილ დარღვევაზე სკოლის მიერ ხორციელდება დროული და ეფექტიანი რეაგირების ღონისძიების გატარება.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუირების დროს ნათლად გამოჩნდა, რომ სკოლა ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად სხვადასხვა მიმართულებით აქტიურად მუშაობს, კერძოდ, მოსწავლეთა ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია კლუბები, განხორციელებულია პროექტები და ღონისძიებები

ბულინგთან, ძალადობასთან, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით. ღონისძიებების ამსახველი მასალები განთავსებულია სკოლის სოციალურ გვერდებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, რომლის მიხედვით განსაზღვრულია სკოლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირების მექანიზმები. გრაფიკის მიხედვით ლაგდება სკოლის შენობა, სხვადასხვა სივრცე - საპირფარეშო, საკლასო ოთახი, დერეფნები, ეზო და ა.შ.

სველი წერტილებისა და საკლასო ოთახების ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის ჯანდაცვის მიერ დადგენილ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებთან შესაბამისობა, კერძოდ, საკლასო ოთახები და სველი წერტილები აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსებით. საპირფარეშოებისა და საკლასო ოთახების დალაგება ხდება სველი წესით დღეში რამდენიმეჯერ. სკოლის ექთანი აქტიურად არის ჩართული სასკოლო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლაში არის სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინტერნეტი. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია, მოწოდებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ. მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. პირადი ინფორმაცია არ ზიარდება სოციალურ ქსელში და საჯაროდ. მონაცემთა კომპიუტერული პროგრამებით დამუშავებაზე გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი (საქმის მწარმოებელი), რომელიც ახორციელებს ინფორმაციის შეტანას, შეცვლას, წაშლას, მოძიებას. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა მშობლისათვის ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში დაცულია მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სკოლის ტექნიკურ პერსონალთა მონაცემები და არ არის ხელმისაწვდომი ნებისმიერი პირისთვის.
ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა ახდენს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ციფრული განვითარების გეგმის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ციფრული ტექნოლოგიების მართვის პრინციპებსა და პროცედურებს. ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიუთი გაირკვა, რომ სკოლა მესამე პირს არ გადასცემს კონკრეტულ ინფორმაციას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ფუნქციონირებს უსაფრთხოების სხვადასხვა მექანიზმები. სკოლა აღჭურვილია ვიდეოკამერებით. სკოლას ჰყავს ექთანი. სკოლას აქვს მასწავლებელთა მორიგეობის პრაქტიკა. მორიგე მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე. სკოლა სამომავლოდ გეგმავს უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებას, რის შედეგადაც ექნება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასების მექანიზმი. შეფასების შედეგებს გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

წერილი

- სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი
- ადგილზე დათვალიერება
- უცხო პირთა შემოსვლის აღრიცხვის ჟურნალი
- ინტერვიუ
- მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი

- სამედიცინო სივრცის ფუნქციონირების დებულება
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა
- ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა
- შესაბამისობის გეგმა თანდართული დოკუმენტებით (დანართი N 8; 9; 10; 11; 24; 33; 34)

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

   სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ამონაწერის მომზადების თარიღი: 27/03/2014). ამონაწერის მიხედვით სკოლის ნაკვეთის საერთო ფართობი არის 12544 კვ.მ. ამ ფართობზე განთავსებულია სკოლა, ღია სპორტული მოედანი და ამორტიზირებული დამხმარე ნაგებობა. კოლის შენობის ფართობი არის 1197,7კვ.მ. სკოლის ეზო გამწვანებულია. სკოლა არის თანამედროვე სტილის, ახალი გარემონტებული. აქვს შიდა და გარე მოედანი, მეხამრიდი,

სკოლის პირველ სართულზე არის ოთხი საკლასო ოთახი, რესურს ოთახი, სამედიცინო კაბინეტი, დარაჯის ოთახი, სპორტდარბაზი გასახდელებით, სამი სველი წერტილი, მათ შორის ერთი ადაპტირებული. ეორე სართულზე არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია, დირექტორის ოთახი, სამასწავლებლო, საკლასო ოთახები და სველი წერტილები. ინტერვიუს დროს გაირკვა რომ სკოლას არ ყოფნის საკლასო ოთახები. რის გამოც კომპიუტერის ლაბორატორიაში და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში განთავსებულია სასკოლო კლასები. სკოლას ავტორიზაციის დროს მოთხოვნილი აქვს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა 250 მოსწავლეზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით სკოლა გათვლილია 90 მოსწავლეზე.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც გამოთქვამს მზადყოფნას I-II კლასებისათვის სასწავლო პროცესის მეორე ცვლაში გადატანის შესახებ.

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი

რეკომენდაცია: 2025 წლის 13 სექტემბრამდე სკოლამ შემოიღოს ცვლაში სწავლება, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნა მოიყვანოს შესაბამისობაში სკოლის საპროექტო მონაცემებთან. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახოს მეორე ცვლაში სწავლება.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, რესურს ოთახი, ექიმის კაბინეტი, სველი წერტილები და მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლის ეზოში გამოყოფილია სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული საქმიანობისთვის, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილი ოთახი, იგი განთავსებულია მეორე სართულზე. სკოლამ ვერ წარმოადგინა ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების აღრიცხვის ჟურნალი. ადგილზე დათვალიერებით დადასტურდა რომ სკოლას აქვს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები და ლიტერატურა. სკოლას არ აქვს საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული კატალოგი, აღრიცხვის ჟურნალი. ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების ნაწილს არ აქვს სკოლის ბეჭედი დასმული. ბიბლიოთეკაში არ არის კომპიუტერი და შესაბამისად არც ელექტრონული კატალოგი.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც დაადასტურა ბიბლიოთეკაში დაცული ფონდის საბიბლიოთეკო კატალოგით დამუშავება. სკოლამ ასევე დაამტკიცა ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (ბრძანება N 2-63). ამ წესის მიხედვით ბიბლიოთეკის ოთახში სკოლის პერსონალისთვის და მოსწავლეებისთვის დამატებით გათვალისწინებულია კომპიუტერით მომსახურეობა და ასლის გადაღება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

> **რჩევა:** *სკოლამ გონივრულ ვადაში ბიბლიოთეკაში განათავსოს კომპიუტერი და შესაბამისი ინვენტარი, რათა სკოლის ბიბლიოთეკამ შეძლოს დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის შესრულება.*

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის შენობა ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. არის პანდუსები, ლიფტი, შესაბამისი სველი წერტილები, საკლასო ოთახები და თავისუფალი სივრცეები იძლევა მოსწავლეთა თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობას. სკოლაში არის რესურს-ოთახი, რომელიც აღჭურვილია რესურსებითა და ტექნიკური საშუალებებით. რესურს ოთახი შიდა კედლით არის გატიხრული და ქმნის მოუხერხებელ პირობებს მისი ეფექტური გამოყენებისათვის. სკოლას მიეცა რჩევა, რესურს ოთახის გაფართოების.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის მეორე სართულზე არის დიდი თავისუფალი სივრცე, რომელსაც სკოლა იყენებს სხვადასხვა ღონისძიებებისთვის, შეხვედრებისთვის და დისკუსიებისთვის. სკოლაში არის შიდა სპორტული დარბაზი, თავისი გასახდელებით, სკოლის დიზაინი და სივრცეების განაწილება ხელს უწყობს მოსწავლეების/მასწავლებლების კომუნიკაციასა და თანამშრომლობას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საერთო სივრცეებით სარგებლობის წესი
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- გამოკითხვა ინფრასტრუქტურით კმაყოფილების შესახებ
- გატარებული ღონისძიებების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა სოციალურ მედიაშ გამოქვეყნებული
- თვითშეფასების კითხვარი
- ინტერვიუ
- შესაბამისობის გეგმა თანდართული დოკუმენტებით (N 37; 40; 12; 13; 29;)

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები, პროექტორი, პრინტერი. სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომია სამასწავლებლოში არის 18 ლეპტოპი, დირექტორის ოთახში 1 კომპიუტერი პრინტერით; კომპიუტერულ ლაბორატორიაში 6 პერსონალური კომპიუტერი. პრინტერით. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით. მასწავლებლებს, მოსწავლეებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ინტერნეტით სარგებლობა შეუძლია სკოლის შენობის ნებისმიერ სივრცეში, ყველა საკლასო ოთახში. სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვას, რომელიც პასუხობს, როგორც სწავლა სწავლების, ასევე სკოლაში არსებულ ადმინისტრაციულ პროცესების მართვასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას, რომელიც დასტურდება ვიზიტის დროს ინფორმაციულ ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის დათვალიერებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარითა და ინტერვიუებით დასტურდება, რომ კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია კლასი. სკოლას აქვს შექმნილი დოკუმენტი "ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების წესები და პროცედურები". აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს მოსწავლეთა მიერ კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების წესებს. სამწუხაროდ აღნიშნული დოკუმენტი არ ასახავს სკოლის რეალობას იმ ნაწილში, რომ კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კლასის არსებობისას როგორ ხდება ინვენტარის უსაფრთხოების დაცვა ან კიდევ მისი გამოყენება სხვა დაინტერესებული მხარის მიერ. სკოლამ წარმოადგინა კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების გრაფიკი მხოლოდ მეხუთე და მეექვსე კლასის მოსწავლეებისთვის, თუმცა განრიგი ემთხვევა საგაკვეთილო პერიოდს.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2025 წლის სექტემბრიდან სკოლა გადავა ორცვლიან სწავლებაზე და შესაბამისად კომპიუტერულ ლაბორატორიაში არ იქნება განთავსებული საკლასო ოთახი.

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეწილად შესაბამისი

რეკომენდაცია: *სკოლამ უზრუნველყოს 2025 წლის 14 სექტემბრამდე კომპიუტერული ლაბორატორიის როგორც თავისუფალი სივრცის მოწყობა და გაიყვანოს საკლასო ოთახი აღნიშნული კაბინეტიდან;*

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადგილზე დათვალიერება
- ინტერვიუ
- თვითშეფასების კითხვარი
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაციის დოკუმენტი
- ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების წესები და პროცედურები

- კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების გრაფიკი
- შესაბამისობის გეგმა თანდართული დოკუმენტებით (N 37;45)

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის N2-27 ბრძანებით. აღნიშნული წესის მიხედვით სკოლაში წარმოებს დოკუმენტ ბრუნვის 5 ჟურნალი: შემოსული, გასული, საკადრო ბრძანებების, საერთო ბრძანებების და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის. ადგილზე ვიზიტისას გაირკვა, რომ სკოლა არ აწარმოებს სრულად საქმისწარმოებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. შემოსული და გასული დოკუმენტაციები სკოლას არ აქვს სრულად ასახული და გატარებული ჟურნალში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას აკლია ბრძანების ნომერი, რომლითაც დამტკიცდა დოკუმენტი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და თანდართული დანართი, რომლითაც დასტურდება საქმისწარმოების ჟურნალების სრულყოფა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა მართვისათვის იყენებს სკოლის ელექტრონულ დოკუმენტ ბრუნვის სისტემას: EFLOW, ESCHOOL, ასევე სკოლის ელექტრონულ ფოსტას. სამუშაო შეხვედრები იმართება Teams-ის პლატფორმის გამოყენებით, ამ პლატფორმას იყენებენ კლასის დამრიგებლები შეხვედრებისთვის. ვიზიტისას აღმოჩნდა რომ სკოლა 2025 წლის სექტემბრიდან თებერვლამდე თითქმის არ იყენებდა დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონულ სისტემას EFLOW. 2025 წლის თებერვლიდან სკოლამ დაიწყო მისი გამოყენება.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ესქულში ასახავს მოსწავლეთა რეგისტრაციას, მობილობის პროცესს, პირველკლასელთა ლიმიტს, კლასიდან კლასში გადაყვანისა და საფეხურების დონის დაძლევის პროცედურას, განრიგისა და კლასების შექმნა/რედაქტირებას, საგნების განაწილებას, სახელმძღვანელოების ვარგისიანობის შეფასება/შერჩევას, გრიფირებული სახელმძღვანელოების არჩევას, მოსწავლეების მობილობის პროცესის წარმართვას და ა.შ.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად და დაუყონებლივ აწვდის ანგარიშებსა თუ მოთხოვნილ ინფორმაციას საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს, თანამშრომლობს მათთან და ამისთვის იყენებს ელექტრონულ საშუალებებს საჯარო ინფორმაციის შესახებ ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, პრემიერ-მინისტრსა და საქართველოს პრეზიდენტს, დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე ანგარიშს წარუდგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი
- დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონული სისტემა
- საქმისწარმოებასთან დაკავშირებული სარეგისტრაციო ჟურნალები
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო მონაცემები

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; საჩივრის წარდგენის პროცედურები;
- ადგილზე დათვალიერება
- ინტერვიუ
- შესაბამისობის გეგმა თანდართული დოკუმენტებით (დანართი N 31;)

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარების მიზნით ინფორმაციები სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე არის გამოკრული და ასევე ატვირთულია თიმსის პლატფორმაზე. სკოლა სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის იყენებს სოციალურ ქსელებსა და ინტერნეტში არსებულ სხვა არხებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის საქმიანობისა და განხორციელებული საგანმანათლებლო პროცესების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალის გაზიარება სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე ხდება მშობელთა თანხმობის საფუძველზე. ვიზიტის პერიოდში ვებ გვერდზე შესვლისას აღინიშნა რომ სკოლას ვებ გვერდზე განთავსებული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების სხვა დოკუმენტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, თიმსის პლატფორმას, სკოლის პედაგოგთა შიდა სოციალურ გვერდს, www.etaloni.ge -სა და www.etm.ge -ს. პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ აქ ხდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის განთავსება განხორციელებული თუ განსახორციელებელი აქტივობების, სიახლეების, ღონისძიებების თაობაზე. ამ სივრცეში აზიარებს სკოლა საგანმანათლებლო სტრუქტურებიდან შემოსულ ინფორმაციას, სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს, საგანმანათლებლო პროგრამებზე სხვადასხვა შემოთავაზებებს და ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ გვერდი, დამტკიცებული აქვს ვებ გვერდის ადმინისტრირების პოლიტიკა და განსაზღვრული ყავს ბრძანებით ვებგვერდზე პასუხისმგებელი პირი. ვიზიტის პერიოდში დათვალიერდა სკოლის ვებ გვერდი. ებ გვერდზე მართლაც განთავსებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია ქართულ ენაზე. ასახულია სკოლაში თუ სკოლის მიღმა მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიერ განხორციელებული პროექტები და ღონისძიებები. მაგრამ მასზე არ არის განთავსებული უახლესი ინფორმაცია. სკოლის მიმდინარე ინფორმაცია განთავსებულია სკოლის სოციალურ გვერდზე. სკოლას მიეცა რჩევა, ახალი ინფორმაცია ატვირთოს სკოლის ვებ გვერდზეც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი www.skolebi.emis.ge ზე, სადაც განთავსებული ინფორმაცია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ, ვიზიტის პერიოდში აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სკოლის მიერ ადგილზე წარმოდგენილსა და თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულ დოკუმენტს. ვებ გვერდზე განთავსებულია სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებები, თუმცა არ იყო აღნიშნული პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია; ერთწლიანი სამოქმედო გეგმა წარმოდგენილი იყო ძველი, კერძოდ 2023-2024 სასწავლო წლისა. სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები და გასაჩივრების მექანიზმები. აღსანიშნავია რომ ყველა ეს დოკუმენტი სკოლას ქონდა შემუშავებული, თუმცა ვებ გვერდზე არ იყო ატვირთული. ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშიც 2023 წლის იყო წარმოდგენილი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და განაახლა აღნიშნული ინფორმაცია სკოლის ვებ-გვერდზე

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

- დასტურდება (მტკიცებულებები):
- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
- ვებ გვერდის ადმინისტრირების პოლიტიკა
- ვებ გვერდზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანება
- სკოლის ვებ გვერდი
- სკოლის სოციალური მედიის გვერდი
- სსიპ უშაფათის საჯარო სკოლა ერის ტექნოლოგიური მეხსიერება
- უშაფათი ეტალონზე
- შესაბამისობის გეგმა თანდართული დოკუმენტებით (დანართი N 43)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ბიუჯეტი განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსებიდან. სკოლის ბიუჯეტი სამეურვეო საბჭოს მიერაა დამტკიცებული. სკოლის ფინანსური მართვა ხორციელდება საქართველოს კანონით ბიუჯეტის შესახებ. სკოლის ბიუჯეტით უზრუნელყოფილია მასწავლებლისა და სკოლის პესონალის შრომის ანაზღაურება. კომუნალური, საოფისე და სკოლის მოვლა პატრონობისთვის საჭირო სახსრები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლაში თანხების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. ბიუჯეტის კორექტირებისთვის სკოლა მიმართავს სამეურვეო საბჭოს. სკოლას ბრძანებით გამოყოფილი ყავს შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულება ყოველი წლის ბოლოს აკეთებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს. ყოველი წლის 10 დეკემბერს ხდება წლიური ფინანსური ანგარიშის წარდგენა სამეურვეო საბჭოსთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამტკიცებული ბიუჯეტი
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიში
- ბრძანება შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- შესაბამისობის გეგმა თანდართული დოკუმენტებით (დანართი N 17;)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

. წარმოდგენილი და სკოლაში ვიზიტის დროს შესწავლილი მასალების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიის უზრუნველყოფა. სკოლაში დაცულია დემოკრატიულობის ხარისხი. სკოლას ჰყავს, მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არჩეულია ფარული კენჭისყრით. სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი.

მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, სკოლის შინაგანაწესი შედგენილია მოსწავლეთა თვითმმართველობის თანამონაწილეობით, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების და ვალდებულებების დაცვას. შინაგანაწესის მიხედვით, სკოლა იცავს და იღებს პასუხისმგებლობას იზრუნოს ყველა ბავშვზე. იგი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთათვის ქმნის აუცილებელ პირობებს მათი სრულფასოვანი განათლებისათვის, რაც შეიძლება გამოიხატოს მათთვის ინდივიდუალური სასაწავლო გეგმის, სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, შენობაში გადაადგილებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის და სხვა საჭირო შესაბამისი პირობების შექმნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი, ბავშვთა უფლებათა კოდექსი და უფლებათა კონვენცია განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს შინაგანაწესით გათვალისწინებულ რეგულაციებს. არსებული შინაგანაწესი შემუშავებულია დირექტორის მიერ, შეთანხმებულია პედსაბჭოსთან და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებული პირებისთვის და მოსწავლეებისთვის უფლებების დაცვის რეგულაციები, რომელიც გამჭირვალეა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.
მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გათვალისწინებულია მოსწავლის მშობლის კანონიერი წარმომადგენლის ხელშეკრულებებშიც. შესაბამისად მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის.
<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლის მოსწავლეთა მშობლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომელშიც ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. ხელშეკრულებაში პუნქტობრივად გაწერილია ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა რეკვიზიტები. ხელშეკრულების მოქმედების ვადად ითვლება მოსწავლის სკოლაში სწავლის პერიოდი. ამის გარდა, სკოლის ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან დამრიგებლების მიერ გაფორმებულია შეთანხმების ფორმა, რომელიც მოიცავს ნებართვას არასრულწლოვნების ფორმალური და არაფორმალური განათლების დროს ფოტოსურათების გადაღებისა და გასაჯაროების თაობაზე. აღნიშნული დოკუმენტი დევს თითოეული მოსწავლის პირად საქმეში ან დამრიგებლის პორტფოლიოში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- შინაგანაწესი
- ეთიკის კოდექსი
- მოსწავლეთა ქცევის წესები
- თვითმმართველობის სხდომის ოქმები
- მოსწავლეთა პირადი საქმეები
- დამრიგებლის პორტფოლიოები

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში მოსწავლე ირიცხება მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, რომელიც განთავსდება საინფორმაციო სისტემის მართვის ელექტრონულ გვერდზე და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ,ხდება რეაგირება დირექტორის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტით. სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია, როგორ და რა დოკუმენტების საფუძველზე ხდება სკოლაში პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვა, ასევე განსაზღვრულია რა დოკუმენტების საფუძველზე ხდება მოსწავლის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლა, მობილობის დროს მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის განაცხადის საფუძველზე გამოითხოვება პირადი საქმე, რომლის მიღების შემდეგ სკოლა გამოსცემს ბრძანებას მოსწავლის ჩარიცხვის ან ამორიცხვის შესახებ. სკოლაში ჩარიცხული ყველა მოსწავლეზე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც განთავსებულია შინაგანაწესით განსაზღვრული დოკუმენტები. საფეხური ითვლება დაძლეულად პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებისა და შესაბამისი ბრძანების საფუძველზე. მოსწავლის სტატუსის შეჩერება ხდება მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების, გაცდენების ან კლასის დამრიგებლის სამსახურეობრივი ბარათის წარმოდგენის საფუძველზე სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი) მიხედვით სკოლა იცავს ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მექანიზმებს. ექსპერტთა ვიზიტის დროს შემოწმდა სკოლის ბაზა, სკოლას კანონის შესაბამისად აქვს დაცული აღნიშნული დოკუმენტების მოძრაობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლას არ აქვს ამ ეტაპზე არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობა. სკოლაში ფუნქციონირებს წრეები და სამომავლოდ იგეგმება წრეების საქმიანობის კიდევ უფრო გაფართოება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლისა და მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლისა და მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ატარებს საინფორმაციო ხასიათს და ემსახურება მოსწავლეთა პიროვნული და აკადემიური ღირსებების წარმოჩენას, მოსწავლეთა მიღწევების აღიარებას, დაფასებას და არ ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს. სკოლა ცდილობს, რომ გავრცელებული ინფორმაციები იყოს ობიექტური და სწორი. სკოლა არ ავრცელებს ინფორმაციას, რომელიც არის სუბიექტური, ტენდენციური, რომელმაც შეიძლება შელახოს საზოგადო და პირადი ინტერესები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა პირველ კლასში ჩარიცხვის ბრძანებები
- საფეხურის დაძლევის შესახებ დოკუმენტები
- მოსწავლეთა მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

..... სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მექანიზმები ძირითადად განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესში, კერძოდ დამრიგებლის ფუნქცია- მოვალეობებში და ასევე სკოლის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტებში. შინაგანაწესის მიხედვით მოსწავლეს გარემოსთან ადაპტაციას კლასის დამრიგებელი ახდენს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

.. სკოლაში სწავლის დასაწყისში, პირველკლასელთათვის იმართება საზეიმო მიღება, სადაც მათ ხვდებიან დირექციის წარმომადგენლები და მასწავლებლები. აღსანიშნავია, რომ სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობა, რათა მოსწავლემ სწავლის დაწყებისას მარტივად შეძლოს ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. სკოლის ფიზიკური გარემო, კერძოდ, ნათელი და კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, აღჭურვილი შესაბამისი თვალსაჩინოებებითა და რესურსებით, ადაპტირებული საპირფარეშოებითა და პანდუსებით, რესურს ოთახით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

..... მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მოსწავლეები რეგულარულად იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს მასწავლებლებისგან აკადემიური პროგრესის შესახებ. სისტემატიურად ხორციელდება სასწავლო და სოციალური პროექტები. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად საგნის მასწავლებლები მოსწავლეებს უტარებენ დამატებით მეცადინეობებს, როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად. გაცდენილი საათების შემდეგ კლასის მიერ განვლილი სასწავლო მასალის დასაძლევად მოსწავლეს ეხმარებიან მასწავლებლები.

სსსმ მოსწავლეებთან მუშაობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით. საგნობრივი კათედრების წევრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, გეგმავენ შეხვედრებს, სადაც განიხილება სხვადასხვა საკითხები მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ. ასევე, კათედრაზე ინტენსიურად მიმდინარეობს ერთმანეთში გამოცდილების გაზიარება, რეკომენდაციების შემუშავება სწავლა–სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიების და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით. განიხილავენ მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების შედეგებს, რის საფუძველზეც გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, კერძოდ იგეგმება მოსწავლის შესაძლებლობებზე და შედეგების გაუმჯობესებაზე მორგებული პროექტები და კომპლექსური დავალებები.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლაში არსებული საკლასო ოთახების სიმცირის გამო სკოლამ ვერ დაამტკიცა როგორ უწევს მოსწავლეებს მხარდაჭერას სასკოლო კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობისას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც მომდევნო სასწავლო წლიდან გადადის ორცვლიან სწავლებაზე, შესაბამისად, ლაბორატორიებით სარგებლობის შესაძლებლობა ექნებათ მოსწავლეებს.

ინდიკატორი შეფასდა როგროც მეტწილად შესაბამისი

რეკომენდაცია: *სკოლამ საკუთარი ინფრასტრუქტურით გაუწიოს მოსწავლეებს ადმინისტრაციული მხარდაჭერა, კერძოდ: ლაბორატორიებიდან გაიყვანოს საკლასო ოთახები 2025 წლის 14 სექტემბრამდე.*

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას, რომელიც დასტურდება ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი განხორციელებული და დაგეგმილი მრავალფეროვანი არაფორმალური აქტივობებით: კლუბებით, ექსკურსიებით, კონფერენციებით, პროექტებითა და ღონისძიებებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

..... სკოლა ახდენს დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების, პროგრამების, ღონისძიებების ანალიზს, ისმენს მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების უკუკავშირს და ითვალისწინებს, რის საფუძველზეც ცვლის და აუმჯობესებს შესაბამის მომსახურებას. ანკეტა- კითხვარის საშუალებით გამოიკითხა ყველა საფეხურის მოსწავლე,

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- დამრიგებლის დებულება
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
- აქტივობების ამსახველი მასალა სკოლის სოციალურ გვერდზე

- შესაბამისობის გეგმა თანდართული დოკუმენტებით (დანართი N 37; 40; 44; 45;)

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის; კერძოდ, მოსწავლეები ღია კარის დღეებში სტუმრობენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელს. ეცნობიან მათთვის საინტერესო საგანმანათლებლო პროგრამებს. კლასის დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში აწყობენ მოსწავლეთა შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. ასევე მოსწავლეები სტუმრობენ საწარმოებსა და ქარხნებს. საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლება მიმართულია მოსწავლეთა პროფესიული ინტერესების შესწავლისკენ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სკოლა გეგმავს ინტერესთა სფეროს გამოვლენას პროფესიული არჩევანის მიმართულებით კითხვარების საშუალებით და ამ შედეგების კვლევას 2023-2024 სასწავლო წლისთვის. სკოლაში განხორციელებული პროექტები ეხმარება მოსწავლეებს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის არჩევაში. სასკოლო პროექტების არჩევა და არჩევითი საგნების შემოტანა აგრეთვე ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. სისტემატურად ეწყობა მოსწავლეთა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან შეხვედრები.

სკოლის მიერ განხორციელებული ყველა აქტივობა, რომელიც მიმართულია კარიერული განვითარებისა და პროფესიის არჩევისათვის გაცნობილი და მიწოდებულია მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის. სკოლა საფეხურების შესაბამისად

მშობლებს და მოსწავლეებს აწვდის ყველა ინფორმაციას პროფესიული და უმაღლესი სასწავლების პროგრამების, ფაკულტეტების და სპეციალობების შესახებ, რის საფუძველზეც მოსწავლეებს და მათ მშობლებს შეუძლიათ გაეცნონ სხვადასხვა სასწავლებლების შეთავაზებებს და გააკეთონ შესაბამისი არჩევანი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ჩანს, რომ სკოლას აქვს მზაობა გაითვალისწინოს, ნებისმიერი უკუკავშირი, დამდგარი შედეგები და შესაბამისად დაგეგმოს აქტივობები, შემდგომი სასწავლო წლებისათვის, რომ უფრო სრულყოფილი გახადოს პროფესიის არჩევის პროცესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამრიგებლების პორტფოლიოები
- მშობელთა კრებების ოქმები
- ინტერვიუ
- თვითშეფასების კითხვარი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმები, კერძოდ სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ქმნის ინკლუზიური განვითარების სამოქმედო გეგმას, სადაც გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. ყველა სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლების, რომლებიც ასწავლიან მოსწავლეს, სპეციალური მასწავლებლის, ასევე ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სხვა სპეციალისტებისა და სსსმ მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლისაგან.

სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი რომლის განახლება და რესურსით შევსება მიმდინარეობს საჭიროებისამებრ სკოლაში ამჟამად სწავლობს ოთხი სსსმ მოსწავლე სპეციალურ მასწავლებელს შეფასებული ჰყავს სსსმ მოსწავლეები და კარგად იცნობს მათ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. აქტიურად არის ჩართული მათი სწავლა სწავლების პროცესში, ისგ გეგმების შედგენაში. საგნის მასწავლებლებს აძლევს რეკომენდაციებს როგორ დაგეგმონ და განახორციელონ სასწავლო მიზნები სპეციალური მასწავლებელი კლასის დამრიგებელთან ერთად თვალყურს ადევნებს სსსმ მოსწავლეების სწავლა სწავლების პროცესს, სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე ზრუნავს მთელი სკოლა როგორც მასწავლებლები, ასევე სპეც მასწავლებელი, დირექცია, მშობელი, ასევე მათი თანაკლასელები. ისგ. ჯგუფის მიერ

შემუშავებულია თითოეული მოსწავლისთვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ,სპეციალურ მასწავლებელს აქვს ინტერვენციის გეგმა და ინდივიდუალურ მეცადინეობებს ატარებს გრაფიკის მიხედვით და ორგანიზაციას უკეთებს ისგ ჯგუფის სამუშაო შეხვედრებს სასწავლო წლის ბოლოს შიდა მონიტორინგის ჯგუფი დებს დასკვნას, რომელიც გადაეცემა მშობელს და პედსაბჭოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლაში თითოეული სსსმ მოსწავლისათვის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი რომელიც უზრუნველყოს ინდივიდუალურ გეგმის შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობას. სკოლას აქვს რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსებით, ჰყავს 1 სპეციალური მასწავლებელი. სსსმ მოსწავლეთა წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფი ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განვითარების სამოქმედო გეგმა ,რომელსაც მონიტორინგს უწევს სკოლის მონიტორინგის ჯგუფი .მონიტორინგის ჯგუფი წლის ბოლოს განათლების ,მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროში გასაგზავნად ამზადებს დასკვნას, თუ რა გაკეთდა წლის განმავლობაში ინკლუზიური განვითარების მხრივ. აღნიშნულ მოსწავლეებთან მუშაობისას საგნის მასწავლებლები კონსულტაციას გადიან სპეციალურ მასწავლებელთან, რომ მოხდეს მათთვის მისაწოდებელი მასალების ადაპტირება .ისგ გეგმები შედგენილია მულტიდისციპლინული გუნდის დასკვნის საფუძველზე და მორგებულია მოსწავლის საჭიროებებზე , შესაძლებლობებზე და უნარებზე. სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე ზრუნავს მთელი სკოლა როგორც საგნის მასწავლებლები ასევე სპეციალური მასწავლებელი , დირექცია, მშობელი და მათი თანაკლასელები. კეთდება

მოსწავლის მიღწევების შუალედური და საბოლოო შეფასება რომელთა დაყრდნობითაც ხდება ინდივიდუალური გეგმის ცვლილება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. უშაფათის საჯარო სკოლის 1 მოსწავლის დასკვნა
2. უშაფათის საჯარო სკოლის 2 მოსწავლის დასკვნა
3. უშაფათის საჯარო სკოლის 3 მოსწავლის დასკვნა
4. უშაფათის საჯარო სკოლის 4 მოსწავლის დასკვნა
5. უშაფათის საჯარო სკოლის ინტერვენციის გეგმა
6. უშაფათის საჯარო სკოლის ისგ ოქმები
7. უშაფათის საჯარო სკოლის ისგ შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი ბრძანება N2-50, 5.10 2024 წ

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი**

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლის მოსწავლეები სარგებლობენ სატრანსპორტო მომსახურებით, რომელიც ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით. არასავალდებულო ხასიათის მომსახურება(გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ამ ეტაპზე სკოლა არ სარგებლობს

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა არ სთავაზობს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა არ სთავაზობს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითშეფასების კითხვარი
- ინტერვიუ
- სატრანსპორტო საშუალებების ტაბელები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II.

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

მეთოდოლოგია და პრინციპები: სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ამ პროცესს განიხილავს, როგორც უწყვეტ, შემოქმედებით და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ საქმიანობას. მთავარ პრინციპად სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების) ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებაა მიჩნეული.
მასწავლებელთა როლი: მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი კურიკულუმები შემუშავებაში კათედრების დონეზე. ისინი კოლეგიალურად მუშაობენ, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ართულ ან ამარტივებენ მასალას საჭიროებისამებრ და ახდენენ კურიკულუმების პერიოდულ გადახედვასა და გაუმჯობესებას.
სწავლების პრაქტიკა: პედაგოგებს გააზრებული აქვთ საგნობრივი მიზნები და ცდილობენ, დანერგონ თანამედროვე მიდგომები, მათ შორის, შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა, რითაც მოსწავლეები საკუთარ ცოდნას ადასტურებენ.
საზოგადოების ჩართულობა და სამომავლო ხედვა: მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმები ამ ეტაპზე მეტწილად მასწავლებელთა გამოცდილებასა და მშობლებთან არაფორმალურ უკუკავშირს ეფუძნება, სკოლას აქვს მკაფიო მზაობა და გეგმა, რომ მომავალში მოსწავლეები და მშობლები უფრო აქტიურად და ფორმალურად ჩართოს შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლა წარმატებით უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დირექცია) ინტერესების ასახვას კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში, რის გამოც ინდიკატორი დაკმაყოფილებულად არის მიჩნეული.

ძირითადი მექანიზმები და პრაქტიკა:

- **ფორმალური და პრაქტიკული მექანიზმები:** სკოლას გააჩნია როგორც ფორმალური „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღებას, ასევე კარგად აპრობირებული პრაქტიკა. პროცესის ცენტრს წარმოადგენს კათედრები, სადაც მასწავლებლები სემესტრისა და წლის ბოლოს

კოლეგიალურად განიხილავენ სასწავლო პროცესს, აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს და ითვალისწინებენ ერთმანეთის გაკვეთილებზე დასწრების შედეგებს.

- **უკუკავშირის წყაროები:** უკუკავშირი გროვდება სხვადასხვა გზით: კათედრის წევრებთან დაგეგმილი შეხვედრებით, მშობლებთან (ხშირად ვერბალური) კომუნიკაციით და უშუალოდ მოსწავლეებისგან, რომელთა მოსაზრებებსაც მასალის სირთულესა თუ ინტერესზე მასწავლებლები ითვალისწინებენ.
- **პრაქტიკული გამოხატულება და სამომავლო ხედვა:** საზოგადოების ინტერესები პრაქტიკულად აისახება კომპლექსური დავალებების თემატიკაში, სადამრიგებლო პროგრამებსა და სასწავლო მასალის შერჩევასა და ადაპტაციაში. ამასთან, სკოლას აქვს მკაფიო ხედვა, რომ მომავალში ეს პროცესი კიდევ უფრო განავითაროს და სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობა გააძლიეროს, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილ და განხორციელებულ კურიკულუმებს შორის მჭიდრო კავშირს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.....
.....

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლაში, ყველა საგნობრივ მიმართულებაზე, დამკვიდრებულია კურიკულუმის შემუშავების თანამშრომლობითი კულტურა. პროცესის ცენტრს კათედრები წარმოადგენს, სადაც მასწავლებლები ერთობლივად, წინარე გამოცდილების, მოსწავლეთა შედეგებისა და ინტერესების გათვალისწინებით, გეგმავენ სასწავლო პროცესს და არჩევენ კომპლექსურ დავალებებს.

შემუშავებული კურიკულუმი საჯარო და ხელმისაწვდომია: მისი ძირითადი ასპექტები მშობლებს ეცნობათ კრებების, საინფორმაციო შეხვედრებისა და სასკოლო ღონისძიებების საშუალებით.

მიუხედავად იმისა, რომ პროცესი ყველა მიმართულებით დადებითად არის შეფასებული, სკოლას აქვს მზაობა, მომავალში სასკოლო საზოგადოების (განსაკუთრებით მოსწავლეებისა და მშობლების) ჩართულობა კიდევ უფრო გააძლიეროს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

.ინფორმაციის გაზიარება ხდება მრავალფეროვანი ფორმით:

- **პირდაპირი კომუნიკაცია:** მშობელთა კრებებსა და საინფორმაციო შეხვედრებზე მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებსა და სასწავლო აქტივობებს.
- **ღონისძიებები:** სასკოლო ფესტივალებისა და საერთო აქტივობების საშუალებით საზოგადოება პრაქტიკაში ეცნობა კურიკულუმის შედეგებს.
- **ონლაინ სივრცე:** იგეგმება კურიკულუმის გამოქვეყნება სკოლის სოციალურ გვერდზე მისი ხელმისაწვდომობის გასაზრდელად.

მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმის შემუშავებაში ამ ეტაპზე ძირითადად დირექცია და მასწავლებლები მონაწილეობენ, სკოლას აქვს მკაფიო სურვილი და გეგმა, რომ მომავალში მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობა და ინიციატივები მეტად წაახალისოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

..

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი

- დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურის კურიკულუმები

- სტანდარტი1; ფაილი N7 სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- N9 7წლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა
- სტანდარტი2საგნობრივი კურიკულუმები
- საქაღალდე ბუნება 2025
- საქაღალდე : დამატებითი დოკუმენტაცია უშაფათი
- საქაღალდე: ვიზიტის დროს წარმოდგენილი

- კურიკულუმები ყველა საფეხურისთვის

.....

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ -სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ უშაფათის საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრის სამივე საფეხურის პედაგოგების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო დოკუმენტების განხილვა და შესაბამისად, ინტერვიუ მასწავლებლებთან იძლევა იმის საშუალებას რომ ვთქვათ, კათედრას სჭირდება დახმარება კერძოდ, დაწყებით (I-IV) და საშუალო საფეხურზე ბიოლოგია XI კლასებში, რათა კურიკულუმები ორიენტირდეს გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვროს საფეხურის დონეზე- ე.ს.გ.მიხედვით სტანდარტში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების სახით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა უპირატესობას ანიჭებს შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომლთა შესრულებასაც მოსწავლის მთლიანი პიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. თუმცა ამის დამადასტურებელი მტკიცებულება სკოლას მწვირედ აქვს წარმოდგენილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** *რჩევა*

	ჩასწორდეს და მოწესრიგდეს კურიკულუმები, კერძოდ დაწყებით (I-IV) და საშუალო საფეხურზე ბიოლოგია XI კლასებში, რათა კურიკულუმები ორიენტირდეს გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვროს საფეხურის დონეზე- ე.ს.გ.მიხედვით სტანდარტში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების სახით მომავალში კათედრამ ურთიერთ თანამშრომლობის საფუძველზე, შეიმუშაონ სრულფასოვანი კურიკულუმები, რომლებიც სრულ შესაბამისობაში იქნებიან ესგ-ს სტანდარტთან.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ეს გამოჩნდა შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში, რომელიც შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. მართალია, დაწყებითის, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, მაგრამ ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით და სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას იმდენად, რამდენადაც მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, ორივე უცხო ენის შემთხვევაში, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, მე-2 კლასის, ინგლისური ენის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების თანახმად, მათ უნდა გააკეთონ პრეზენტაცია საკუთარი ოთახის შესახებ, გააფორმონ იგი ტექსტითა და სურათებით და წარუდგინონ კლასს. აღნიშნული დავალების ფარგლებშიც თავად წყვეტენ მოსწავლეები რას და როგორ გააკეთებენ. მაგალითად, მოსწავლემ თავად უნდა გადაწყვიტოს პრეზენტაციას ე.წ. ‘‘ფაუერ ფოინთის’’ პროგრამით წარადგენს თუ პოსტერით, მანვე უნდა გადაწყვიტოს რა ინფორმაციაზე გაამახვილოს ყურადღება პრეზენტაციაში, როგორ გააფორმოს იგი ვიზუალურად და ა.შ. თითქმის ყველა კომპლექსური დავალება არის მსგავსი ტიპის სამივე საფეხურზე. მასწავლებლებთან ჩატარებული

	ინტერვიუების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამივე საფეხურზე თითოეული მოსწავლე ნამდვილად არის სწავლის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივი (მუსიკა. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)კურიკულუმებში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ კურიკულუმში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, კონტექსტ მაგალითები და რესურსები. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	ყველა საფეხურის კურიკულუმის მიხედვით სწავლებისას ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, ეროვნულ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების სახით. კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები, რომლებიც საინტერესო კონტექსტებს სთავაზობს მოსწავლეს და სასწავლო პროცესის აქტიურ მონაწილედ აქცევს. დავალების იდეები მარტივია და მოსწავლის ასაკობრივ შესაძლებლობებზეა გათვლილი.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლაში შექმნილი კურიკულუმები დაფუძნებულია იმ პრინციპზე, რომ სასწავლო პროცესი მაქსიმალურად მოერგოს მოსწავლის საჭიროებებსა და ინტერესებს. ეს აშკარად ჩანს იმ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც გათვლილია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების ეტაპების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად გამიზნულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კათედრები მზად არიან კურიკულუმები დახვეწონ ურთიერთთანამშრომლობისა და გაზიარების, აგრეთვე დანერგვის ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე და სრულფასოვანი გეგმები გამოიყენონ 2025-2026 სასწავლო წლიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. თემებში და ყველა კლასში განსაზღვრულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს ,კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და შედეგების მიღწევის ინდიკატორები მიმართული, ორიენტირებული იყოს გრძელვადიან მიზნებზე , რაც მოსწავლეებში თავისთავად აღძრავს ავტონომიურობის განცდას და ხელს შეუწყობს მათში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას. თუმცა ,გვაქვს აუცილებლად გამოსასწორებელი შეცდომები დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებსა და საშუალო საფეხურზე XI კლასის ბიოლოგიის კურიკულუმებში. აღნიშნულ კურიკულუმებში არ არის მოცემული სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და ყოველ თემაში ყველა სამიზნე ცნება არ მუშავდება. კერძოდ, I-IV კლასის კურიკულუმებში სამიზნე ცნებებად წარმოდგენილია ისეთი ფორმულირებები, რომლებიც არ შეესაბამება მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ცნებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ზემოთ აღნიშნული შეცდომები თითქმის ყველა საფეხურზე, მათ მიეცათ გონივრული ვადა ამის გამოსასწორებლად ,თუმცა ყველა შეცდომა არ იქნა გასწორებული. უცვლელი და გაუსწორებელი დარჩა , I-IV და საშუალო საფეხურზე XI კლასის ბიოლოგიის კურიკულუმები. **ამრიგად, გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზი:** ბუნებისმეტყველების I-IV და XI(ბიოლოგია) კლასების კურიკულუმები საჭიროებს სავალდებულო თემებისა და გრძელვადიანი მიზნების ურთიერთ შესაბამისობაში მოყვანას **ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი** **რეკომენდაცია 2025 წლის 15 სექტემბრამდე** ბუნებისმეტყველებაში: I-IV და XI(ბიოლოგია) კლასების კურიკულუმები აიგოს თითოეული კლასისათვის განსაზღვრულ სავალდებულო თემებზე დაყრდნობით და მათში მოხდეს ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება მე-3 თაობის სტანდარტის შესაბამისად.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მუშავდება ყველა თემა, თემის ფარგლებში -სამიზნე ცნებები. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები მუშავდება ნაწილობრივ, კომპლექსური დავალებებით. მასწავლებელთა აღნიშვნით, სრულად სამიზნე ცნებების დაფარვას გეგმავენ იმ საკითხებით, რომლებიც ამ ეტაპზე კურიკულუმში ასახული არ არის, რადგან კურიკულუმი დახვეწის პროცესშია. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ ნათელია მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	ორივე უცხო ენის კურიკულუმების ჩარჩოში მოცემულია თემების დასახელება, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შუალედური მიზნები, ძირითადი კონტექსტ მაგალითი, საკითხები და რესურსები. მიუხედავად ამისა, კურიკულუმებში არ იკითხება ეროვნული სასწავლო გეგმის რომელი სავალდებულო თემატური ბლოკი/ბლოკები იფარება ამა თუ იმ თემის/თავის ფარგლებში და არაა დაკონკრეტებული საფეხურის შედეგები. ასევე, ერთი თავის ფარგლებში დაფარულია მხოლოდ ერთი სამიზნე ცნება, მაშინ როცა უნდა იფარებოდეს ყველა მათგანი. წარმოდგენილი ცნებები და ქვეცნებები უმეტესად არის ზოგადი და არაა გამოყოფილი კონკრეტულად რომელი საკითხი იფარება მოცემული თავით. მაგალითად, მე-7 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში მოცემულია თემა ''school for life'', რომლის სამიზნე ცნებად აღებულია მხოლოდ წერითი კომუნიკაცია და ქვეცნებებაში ჩამოთვლილია კორესპონდენციის ყველა ტიპი. რეალურად კი მოსწავლეები წერენ ესეს და აკეთებენ პრეზენტაციას სკოლის გაუმჯობესების იდეებზე. ზოგიერთ კურიკულუმში კი პირიქით, არაა მოცემული ცნების შესაბამისი ქვეცნებები ან არასწორადაა მოცემული თავად სამიზნე ცნებები. მაგალითად რუსული ენის მე-8 კლასის კურიკულუმში. საბაზო საფეხურზე გვაქვს ცნება '' ენობრივ -კულტურული თვითმყოფადობა'' და არა ''კულტურული მრავალფეროვნება'' როგორც ეს კურიკულუმშია წარმოდგენილი. უცხოური ენების კურიკულუმები საჭიროებენ გადახედვას სამივე საფეხურზე. **გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზი:**

	კურიკულუმებში არაა მოცემული სავალდებულო თემატური ბლოკები და ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი შედეგები. თემის ფარგლებში სრულად არაა დაფარული ყველა სამიზნე ცნება. წარმოდგენილი ცნებები და ქვეცნებები არის ზოგადი და არაა დაკონკრეტებული კონკრეტულ თავთან მიმართებით ან მოცემულია ისეთი საკითხები რომლებიც არ იფარება წარმოდგენილი თემით. არის შემთხვევები, როდესაც სამიზნე ცნებები დასახელებულია არასწორად. **ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი** **რეკომენდაცია 2025 წლის 15 სექტემბრამდე** გადაიხედოს უცხოური ენების კურიკულუმები სამივე საფეხურზე და ჩასწორდეს ისე, რომ თითოეულ მათგანში ჩანდეს თუ რომელ თემატურ ბლოკს მიემართება კონკრეტული თავი, თითოეული თემის ფარგლებში დაიფაროს ყველა სამიზნე ცნება და წარმოდგენილი იყოს კონკრეტული საკითხები/ ქვე საკითხები და გრძელვადიანი მიზნები გასავლელ თავთან მიმართებით; სწორად შეირჩეს სამიზნე ცნებების ქვე საკითხები და სწორად იყოს მოცემული თავად სამიზნე ცნების დასახელებებიც.
ესთეტიკური აღზრდა	შექმნილი კურიკულუმები(მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზანს, სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები,. თუმცა იკვეთება ცალკეულ კლასებთან მიმართებაში გარკვეული ხარვეზები მაგ: **დაწყებითი საფეხური** საგანი **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება** I-IV კლასების კურიკულუმებში არ არის მოცემული სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო სამი თემატური ბლოკი, არ იკვეთება რომელ გრძელვადიან მიზნებზე ხდება ორიენტირება. V-VI კლასების კურიკულუმებში არ მუშავდება საგნის სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება. **საბაზო საფეხური** VII-IX კლასების კურიკულუმებში არ არის მოცემული სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო სამი თემატური ბლოკი, არ იკვეთება რომელ გრძელვადიან მიზნებზე ხდება ორიენტირება. მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება კომპლექსური ტიპის დავალების პრაქტიკაში დანერგვის და განხორციელების .მასწავლებელი იაზრებს

	კურიკულუმის შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობას და აქვს მზაობა მოიყვანოს საგნის კურიკულუმი სტანდარტთან შესაბამისობაში შესაბამისად გამოიკვეთა შემდეგი **ხარვეზი**: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების **დაწყებითი და საბაზო** საფეხურის კურიკულუმებში არ არის გაწერილი სტანდარტში მოცემული სავალდებულო თემატური ბლოკები, არ არის ჩაშენებული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები ,რომელზე ორიენტირებაც ხდება თემის ფარგლებში. არ არის დაკონკრეტებული თემა და საკითხი. **ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი** **რეკომენდაცია 2025 წლის 15 სექტემბრამდე** საშუალო საფეხურის კურიკულუმში (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)ჩაშეშდეს მხოლოდ ის ორი პროექტი ,რომელსაც სკოლა განახორციელებს. მიეთითოს სამიზნე ცნება და ქვეცნებები, რომელზე ორიენტირებაც ხდება კონკრეტულ პროექტზე მუშაობისას
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმი ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზანს. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, საკითხები. გასაუბრებისას გამოიკვეთა , რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. **გვექნება რამდენიმე რჩევა**: კურიკულუმის ჩარჩოში ,სასურველია, ყველა თემისთვის განისაზღვროს დასამუშავებელი ცნებები , ქვეცნებები და საკითხები; სასურველია, კათედრის წევრებმა გადახედონ კურიკულუმს, იხელმძღვანელონ სტანდარტით და შეავსონ შესაბამისად. ასევე, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში არის მცირე ცდომილებები და სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს სამომავლოდ, კონკრეტულად: მეოთხე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ზოგი თემისთვის ცნებებად განსაზღვრულია ჟანრი და კომპოზიცია, ზოგ შემთხვევაში კომპლექსურის იდეა და ცნებები არ შეესაბამება ერთმანეთს. კათედრის წევრებმა იხელმძღვანელონ სხვა დაწყებითი კლასის კურიკულუმით ,ეროვნული სასწავლო გეგმით და შეავსონ შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმები სამივე საფეხურზე მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემები, საკითხები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები. კურიკულუმების, მატრიცის და ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ მათემატიკის კათედრას გააზრებული აქვს მოსწავლეებში ფუნქციურ კომპონენტური უნარების გააქტიურებისთვის კომპლექსური დავალებების განხორციელების როლი. **რჩევა:** დაწყებითი საფეხურის (პირველი კლასის) კურიკულუმში ყველა თემაში დამუშავდეს სამივე სამიზნე ცნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები);
ტექნოლოგიები	 წარმოდგენილი კურიკულუმები უკავშირდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. დოკუმენტებში ასახულია ეროვნული გეგმით გათვალისწინებული საკვანძო საკითხები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. წარმოდგენილი კურიკულუმიდან დასტურდება რომ გააზრებული აქვთ კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები მიემართება გრძელვადიან მიზნებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ I-IV კლასების საგნობრივ კურიკულუმებში ქართულ ენაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადოებაში, ძირითადად, მასწავლებლები ცდილობენ კურიკულუმში გაითვალისწინონ საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ დაწყებით საფეხურზე საგნობრივი სწავლებაა, თითოეულ საგნობრივ ჯგუფში განსხვავებული სურათი გვაქვს .**სახელმწიფო ენაში** კურიკულუმები, ძირითადად, შესაბამისობაშია სტანდარდთან, გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები და შუალედური მიზნები, ანუ, ე. წ. შემოქმედებითი ტიპის დავალებები მიემართება მათ მიღწევას. არის მცირე უზუსტობა მეოთხე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში, სადაც ზოგიერთ თემაში ცნებებად განსაზღვრულია ,,ჟანრი“ და ,,კომპოზიცია,“ ზოგ შემთხვევაში კი კომპლექსურის იდეა აცდენილია ცნებებს. **მათემატიკაში** პირველი კლასის კურიკულუმი თემების: ,,ზომის ერთეული“, ,,ორიენტირება“, არ მოიაზრებს ყველა ცნების დამუშავებას. აქ არ მუშავდება ცნება - ,,მათემატიკური მოდელი“, ხოლო თემაში - ,,გეომეტრიული ფიგურა“ არ მუშავდება ცნებები: ,,კანონზომიერება“ და ,,ლოგიკა“. **ბუნებისმეტყველებაში** I კლასში სამიზნე ცნებებად წარმოდგენილია ისეთი ფორმულირებები, რომლებიც არ შეესაბამება მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ცნებებს, მაგალითად: ,,გარემო ჩვენ ირგვლივ“, ,,გარემო და ცოცხალი არსებები“. შესაბამისად, არ ხდება თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება. მათ ნაცვლად უნდა იყოს ,,სივრცეში ორიენტირება“ და ,,ორგანიზმი და

	საარსებო გარემო“. ამასთან, მე-2 ძირითადი თემის, ,,ადამიანის”, დამუშავებისას არაა მითითებული, რომელ რესურსებზე დაყრდნობით სრულდება შემოქმედებით პროდუქტებზე (კომპლექსურ დავალებებზე) მუშაობა. ანალოგიური აცდენაა ცნებების ფორმულირებაში მე-2 კლასის კურიკულუმში, რაც ასევე ხარვეზია და უნდა ჩასწორდეს. მე-3 კლასის კურიკულუმში მოცემული თემები არ ემთხვევა სტანდარტის მიხედვით გაწერილ ძირითად თემებს, კერძოდ, კურიკულუმში მუშავდება თემა ,,მზის სისტემა“, მაგრამ არ მუშავდება თემა ,,ჩემი ქვეყნის ბუნება“ , მათ ნაცვლად ვხვდებით საკითხთა ჩამონათვალს. აქაც უნდა მოხდეს თითოეული თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება და ცნებებისა და ქვეცნებების ფორმულირება მე-3 თაობის სტანდარტზე დაყრდნობით. მე-4 კლასში კურიკულუმი უნდა აიგოს 2 ძირითად თემაზე: ,,დედამიწა“ და ,,ციკლური პროცესები ბუნებაში“. მათ უნდა დაუკავშირდეს სწორად ფორმულირებული ცნებები და ქვეცნებები და ყველა ცნება უნდა დამუშავდეს თითოეულ თემაში. საგან ,,**მე და საზოგადოების**“ მე-3 და მე-4 კლასების საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები. კურიკულუმები მოიაზრება, როგორც სასწავლო მიზნებისა და მოსწავლეთა პიროვნული განვითარების რეალიზების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტი. ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ პედაგოგი შეძლებისდაგვარად ცდილობს ორიენტირებას გრძელვადიან მიზნებზე, ცნებებზე, საფეხურის შედეგებზე და ცდილობს მოსწავლეთა ნამუშევრები, როგორც შუალედური მიზნების ანალიზი, გამოიყენოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მიზნების რეალიზებისათვის. გამოიკვეთა შემდეგი **ხარვეზი:** **ბუნებისმეტყველების** I-IV კლასების კურიკულუმები საჭიროებს სავალდებულო თემებისა და გრძელვადიანი მიზნების ურთიერთ შესაბამისობაში მოყვანას. **ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი** რეკომნდაცია: ბუნებისმეტყველებაში: I-IV კლასების კურიკულუმები აიგოს თითოეული კლასისათვის განსაზღვრულ სავალდებულო თემებზე დაყრდნობით და

	მათში მოხდეს ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება მე-3 თაობის სტანდარტის შესაბამისად. რჩევა: სახელმწიფო ენაში: მეოთხე კლასის კურიკულუმი აიგოს სტანდარტის ცნებების შესატყვისად. მათემატიკაში: პირველი კლასის კურიკულუმი გასწორდეს იმგვარად, რომ ყველა თემაში დამუშავდეს სამივე სამიზნე ცნება.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მიუხედავად იმისა ,რომ სკოლა ახალი აშენებულია, განიცდის რესურსების სიმწირეს, ნაკლებად არის წარმოდგენილი მოსწავლეთა ნამუშევრები. კურიკულუმებში მითითებული ბევრი ბმული უმოქმედოა და არ იხსნება. რჩევა სასურველია კურიკულუმებში ჩაშენებული ელექტრონული რესურსების ბმულები გახდეს მოქმედი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში ასახულია რესურსები ,ჩაშენებულია ლინკების სახით ,მათ შორისაა საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	ინგლისური ენის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების უმეტესობაში არაა მითითებული სახელმძღვანელოების დასახელებები. უმეტესად მითითებულია მხოლოდ ადაპტაციის ავტორი. ასევე, მათ ნაწილში მითითებულია ისეთი გამომცემლობები და ავტორები, რომელთაც არ აქვთ გრიფირებული სახელმძღვანელოები ან აქვთ, მაგრამ არა იმ კონკრეტული კლასისთვის. მაგალითად ინგლისური ენის მეორე კლასის კურიკულუმში მითითებულია მაკმილანის გამომცემლობის წიგნი თამარ ჯაფარიძის ავტორობით. მეორე კლასის ინგლისური ენის წიგნის ადაპტაციის ავტორი არის ნინო თამარაშვილი და წარმოადგენს ბაკურ სულაკაურისა და ოქსფორდის გამომცემლობების სახელმძღვანელოს. რაც შეეხება რესურსებს, სამივე საფეხურის რუსული და ინგლისური ენების კურიკულუმების შესაბამის გრაფებში უმეტესად არაა მითითებული სახელმძღვანელოს რომელი გვერდები შეესაბამება თითოეულ თემას. ასევე, თითქმის ყველა მითითებული ბმული არის არააქტიური ან არის მთლიანი საიტის ლინკი და გაუგებარია კონკრეტულად რომელ რესურსზეა საუბარი. რიგ შემთხვევებში რესურსები არის ზოგადი და ბუნდოვანი. მაგალითად, მე-8 კლასის რუსული ენის კურიკულუმის რესურსების გრაფაში რესურსებად მოცემულია შემდეგი ჩანაწერები: ''ნიმუშები, სავარჯიშოები'' ''ვიდეო, რეცეპტები'', მაგრამ არაა მოცემული კონკრეტული რესურსის ფოტო მასალა, ლინკი ან სხვა რაიმე საშუალება, რითაც შესაძლებელი იქნება რესურსის იდენტიფიცირება და თემასთან შესაბამისობის დადგენა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია რჩევა/: ძირითად რესურსად წარმოდგენილი არაგრიფირებული სახელმძღვანელოები ჩანაცვლდეს გრიფირებულით, ან სკოლამ წარმოადგინოს მათი გამოყენების დასაბუთება სამინისტროსთან შეთანხმებით. ასევე, ორივე უცხოური ენის **სამივე საფეხურის** კურიკულუმებში, რესურსების გრაფაში, მიეთითოს ის ლინკი ან ლინკები, რომლებიც კონკრეტულად იმ მასალისთვისაა განკუთვნილი, რასაც მოცემულ თავში გადიან მოსწავლეები; ზოგადი სახის რესურსები ჩასწორდეს მოცემული თავისთვის შესაბამისი კონკრეტული რესურსის დასახელებით. გარდა ამისა, მიეთითოს თითოეული თემის შესაბამისი გვერდები როგორც მოსწავლის წიგნიდან, ისე სამუშაო რვეულიდან. ამ ეტაპზე რთულია ვისაუბროთ რომელი სახელმძღვანელოებით ან დამატებითი

	რესურსებით მიიღწევა უცხოური ენის კურიკულუმებში მოცემული მიზნები და რამდენად რელევანტურია ისინი.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები ჩაშენებულია ბმულების სახით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა რამდენიმე მათგანი უფუნქციოა და არ არის მოქმედებაში. რჩევა სასურველია კურიკულუმებში ჩაშენებული ელექტრონული რესურსების ბმულები გახდეს მოქმედი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში იკითხება მრავალფეროვანი და საჭირო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **სასურველია**, კურიკულუმის ჩარჩოშიც ყველა თემისთვის მიეთითოს სასწავლო რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კურიკულუმის მიხედვით მათემატიკის კათედრა სასწავლო პროცესში იყენებს სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსებს, მითითებულია ლინკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	
ტექნოლოგიები	კურიკულუმში და ინტერვიუს ეტაპზე დასტურდება რომ იყენებენ სხვადასხვა სასწავლო მრავალფეროვან რესურს, ძირითადად ორიენტირებული არიან ჩვენს მთავარ რესურსზე school.emis.ge.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებში სახელმწიფო ენაში, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში შემოქმედებითი პროდუქტების შესაბამის ველში მითითებულია რესურსები დავალებაზე მუშაობისათვის. რაც შეეხება საგან ,,მე და საზოგადოებას", ის შეიცავს ყველა საჭირო რესურსს, რათა მოსწავლეებმა მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია საკითხების დასამუშავებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** სასურველია, სახელმწიფო ენის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების კურიკულუმები გამდიდრდეს სხვადასხვა ტიპის რესურსებით თითოეული შესასწავლი თემის ფარგლებში.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის და 7წლიანი სტრატეგიული გეგმის მიხედვით სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც დოკუმენტებში იკვეთება, მართალია, კურიკულუმი წარმოდგენილია თემის, სამიზნე ცნების, სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, საკითხებისა და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით. კერძოდ, მასწავლებლები სასწავლო პროცესში მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, ახდენენ კომპლექსური

	დავალებების ადაპტირებას, შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსებისა და აქტივობების შეთავაზებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები იმდენად, რამდენადაც კომპლექსური დავალებები მათ აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ ესა თუ ის საკითხი და შეასრულონ დავალება, ასევე კომპლექსურ დავალებებში მოსწავლეებს აქვთ პროდუქტის წარდგენის ფორმის არჩევანის საშუალება. მაგალითად პრეზენტაცია წარადგინოს პოსტერით თუ PPT-ის პრეზენტაციით ან სხვა ნებისმიერი მისთვის მოსახერხებელი ვერსიით. სსმ მოსწავლეებისთვის აქვთ ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, საჭიროებიდან გამომდინარე ახდენენ მაგალითად თუ ხედავენ რომ მოსწავლეს უჭირს ზეპირი მეტყველება, ასეთი აქტივობის დროს ცდილობენ მას შესთავაზონ ამ დავალების წერითი ვერსია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასეთ მოსწავლეს შესთავაზებენ მხოლოდ წერით დავალებებს. მათი თქმით, ეს ხდება პირველ ეტაპზე, სანამ მოსწავლე მათ მიერ შეთავაზებული აქტივობებით დაძლევს მის სუსტ მხარეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებასა და მუსიკაში წარმოდგენილ კურიკულუმებში (მუსიკა, ხელოვნება)ფრაგმენტულად იკვეთება შეთავაზებული დავალებების კომპლექსური ხასიათი .თუმცა მოცემული დავალებები გვაფიქრებინებს, რომ მოსწავლეს შეუძლია გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. ხელოვნების, მუსიკის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ,რომ სასწავლო პროცესში ხდება მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად დავალების პირობის ადაპტირება, მოსწავლეებს ეძლევა სხვადასხვა სირთულის დავალებები და რესურსები ,რომელიც მორგებულია მოსწავლეზე, რაც იწვევს დაინტერესებას, მოსწავლეებმა იციან რისთვის სწავლობენ და როგორ გამოიყენონ ნასწავლი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი მრავალფეროვანი დავალებები, ისგ და მასწავლებელთან ინტერვიუ იძლევა საფუძველს აღვნიშნოთ ,რომ სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ

	მიდგომებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროებიდან გამომდინარე ახდენენ დავალების მოდიფიცირებას. **ჩვენი რჩევა იქნება**: სასურველია, შუალედურ მიზნებზე მუშაობის დროს მოხდეს კურიკულუმით დაგეგმილი დავალებების პირობის ადაპტირება მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე. მოსწავლეებისთვის არჩევანის მიცემა, მათი შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მათ პროგრესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	ინტერვიუს მიხედვით, მასწავლებლები სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას, რის საფუძველზეც ახდენენ დავალებების ადაპტირებას, შესაბამისი რესურსებისა და აქტივობების შეთავაზებას, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდასა და სპორტში სასწავლო პროცესის დიფერენციალუ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებ რომელიც ჩაშენებული იქნება შემაჯამებელი დავალებებში, სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ უშაფათის საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალშ მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ინკლუზიური მიდგომები, რაც წარმოდგენილ დოკუმენტებში იკვეთება. სკოლას ასევე განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. გასაუბრებიდან დასტურდება რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, ახდენენ

	კომპლექსური დავალებების ადაპტირებას, შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსებისა და აქტივობების გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში გაწერილი დავალებები იძლევა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გამოყენების საფუძველს. მასწავლებლებთან ინტერვიურებისას იკვეთება, რომ ისინი საჭირო დროს ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას და მათ მორგებას მოსწავლეთა საჭიროებებზე. თუმცა, იმისათვის, რომ ამ მოვლენას ჰქონდეს სისტემური და არა ფრაგმენტული ხასიათი, სკოლას ეძლევა **რჩევა**, დაგეგმოს და განახორციელოს სადიაგნოსტიკო შეფასებები, რაც ხელს შეუწყობს საბაზისო უნარების (კითხვა და მათემატიკური წიგნიერება) ზუსტ და დროულ განსაზღვრას ინტერვენციების ასამოქმედებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრას მტკიცებულების სახით დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში მოეთხოვათ წარმოედგინათ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, ყველა საფეხურზე თითო ნიმუშის სახით. გადმოგზავნილი ნიმუშები სამწუხაროდ, სრულყოფილად ვერ აკმაყოფილებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნის პრინციპსა და მნიშვნელობას. რჩევა

	სასურველია მასწავლებლებმა გაითვალისწინონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ე.ს.გ.-ის სტანდარტით შექმნის პრინციპები: კერძოდ, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა უნდა შედგეს სამიზნე ცნების, შედეგების მიღწევის ინდიკატორების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრას მტკიცებულების სახით დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ჩამოაყალიბეს თუ რა პრინციპით ხდება მათი შედგენა: განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იქმნება სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრაზე იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი წესის შესაბამისად.
ესთეტიკური აღზრდა	კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ შეფასება ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორიენტირებით. შეფასების რუბრიკის შექმნისას ითვალისწინებენ დავალების შინაარსის შეთანხმებას მოსწავლეებთან, რათა მიზნობრივად შეირჩეს ინსტრუმენტი, რომელიც გაითვალისწინებს ერთ მხრივ საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს და მეორე მხრივ მოსწავლეების ინტერესებს, სწავლის სტილსა და გამოცდილებას. კათედრამ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება თემას და საკითხს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია რჩევა სასურველია დაიხვეწოს შეფასების რუბრიკები **სამივე საფეხურზ**ე მატად მოერგოს თემას და შესასწავლ საკითხს, იკითხებოდეს მასში თუ რომელი სამიზნე ცნების ქვეცნებებთან მიმართებით შეფასდა მოსწავლის ცოდნა. სასურველია გადაიხედოს VII

	კლასის შეფასების რუბრიკა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და ჩასწორდეს მაქსიმალური შეფასება 6 ქულა 10 ქულად.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. კათედრამ ნიმუშის სახით წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. ***ჩვენი რჩევა იქნება ,*** *გააგრძელონ მუშაობა შეფასების რუბრიკებზე და შეიმუშაონ ყველა საფეხურზე კონკრეტული დავალების/ აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დაკონკრეტდება შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით.* **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრა მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეფასებას ახორციელებს კომპლექსურად, მათ მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები ყველა საფეხურზე (გარდა I-IV კლასისა), შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კომპლექსური დავალებისთვის. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ეფუძნება სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში სტანდარტის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** I-IV კლასისთვის შეიქმნას განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კომპლექსური დავალების/თემის.
სპორტი	განმსაზღვრელი შეფასებები რუბრიკები ფიზიკური აღზრდის და სპორტის კურიკულუმებში გაწერილია თემებთან და დაგეგმილი შემაჯამებელი დავალებებთან, შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ არის ზოგადი.

ტექნოლოგიები	დამატებით გამოთხოვილი იქნა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამწუხაროდ, წარმოდგენილი ნიმუშები სრულად ვერ ასახავს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნის პრინციპებსა და მნიშვნელობას. **რჩევა:** განმსაზღვრელი შეფასებაში მკაფიოდ უნდა ჩანდეს საკითხი, თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით, შეფასების კრიტერიუმები, სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკას ახლდეს გრაფა კომენტარებისთვის, რომლის საშუალებითაც მასწავლებელი ახსნის, თუ რატომ შეაფასა მოსწავლე ამა თუ იმ ქულით.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე პედაგოგებთან გასაუბრებისას ისინი აღნიშნავენ, რომ იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, თუმცა, მათ მიერ (I-IVკლ.) წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არის ზოგადი და არ ასახავს თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით. **ჩვენი რჩევაა** თითოეული დავალების ფარგლებში შექმნან და გამოიყენონ შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბუნებისმეტყველება:

- სტანდარტი2საგნობრივი კურიკულუმები
- საქაღალდე ბუნება 2025
- საქაღალდე : დამატებითი დოკუმენტაცია უშაფათი
- საქაღალდე: ვიზიტის დროს წარმოდგენილი

- კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსსმ მოსწავლის გეგმა
- შეფასების რუბრიკები

მათემატიკა

მათემატიკის კურიკულუმები

კომპლექსური დავალების ბარათები

შესრულებული პროექტული დავალებები

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შემაჯამებელი დავალების ნიმუშები

გაკვეთილის გეგმები

ისგ (მათემატიკა IV)

ესთეტიკა

კურიკულუმები

კომპლექსური დავალების ბარათები(ხელოვნება/მუსიკა)

ინტეგრირებული გაკვეთილები

ინტეგრირებული პროექტები(ხელოვნება-ფიზიკა);(მუსიკა-ხელოვნება)

პროექტი ხელოვნებაში

ესთეტიკის კათედრის სხდომის ოქმი

შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი/განმავითარებელი)

შემაჯამებელი დავალების ნიმუშები

უცხოური ენები

უცხოური ენების სამივე საფეხურის კურიკულუმები

გაკვეთილის გეგმები

შეფასების რუბრიკები

სახელმწიფო ენა

საგნობრივი კურიკულუმები

კომპლექსური დავალებები

ისგ

შეფასების რუბრიკები

სახელმძღვანელოების ჩამონათვალი

ურთიერთდასწრების ოქმი

გაკვეთილის გეგმები

პროექტები

.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენელი კომპლექსური დავალებები და ინტერვიუ კათედრის ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ მათ აქვთ მცდელობა და მზაობა მოსწავლე იყოს სწავლის პროცესში აქტიურად ჩართული და ავტონომიურობის განცდის უნარის მქონე , ცენტრალური სუბიექტი. ასევე გათვითცნობიერებული აქვთ თავიანთი როლიც სწავლა-სწავლების პროცესში. კერძოდ, შექმნან ორგანიზებული მიზნობრივი გარემო, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში მოცემულია მრავალფეროვანი და საინტერესო კომპლექსური დავალებები, რომელიც გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, კურიკულუმში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები, მასწავლებელთა გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა მზაობა მომავალი სასწავლო წლისთვის ასევე მათი სამომავლო ხედვა, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით და გააკეთეს ზუსტი აქცენტები კომპლექსური დავალების ,როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილის გეგმები გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სოფელ უშაფათის საჯარო სკოლაში, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მაგალითად, უცხოური ენების კათედრას წარმოდგენილი ჰქონდა ინგლისური ენის გაკვეთილის გეგმა მე-8 კლასისთვის, რომელიც ეხებოდა გლობალურ პრობლემებს. აღნიშნული საკითხი შეტანილი აქვთ კურიკულუმშიც. ინგლისური ენის პირველი კლასის წარმოდგენილი გაკვეთილის გეგმა ეხება ფერების სწავლებას და მასთან დაკავშირებულ სხვდასხვა აქტივობებს. აღნიშნული თემა მოცემული აქვთ პირველი კლასის კურიკულუმშიც. მსგავსი თანხვედრაა რუსული ენის წარმოდგენილი გაკვეთილის გეგმებსა და კურიკულუმებს

	შორისაც. მაგალითად მე-7 კლასის წარმოდგენილი გეგმა ეხება თემას ''მე და სკოლა'', რომელიც მოცემულია იმავე კლასის საგნის კურიკულუმში პირველ თემად და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ,წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათიდან მუსიკის მაგალითზე იკვეთება, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შემოქმედებით პროცესში .ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა ისაუბრეს მათ მიერ განხორციელებულ სხავადასხვა აქტივობებზე, რაც იძლევა იმის დასკვნის საფუძველს ,რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის შესაბამისად . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეებზე. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თუ ის განხორციელებული პროექტები, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, ნამდვილად გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა. კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოსწავლეთა შესრულებული პროექტული დავალებებიდან ჩანს, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია პრაქტიკული შინაარსის თემები. მასწავლებელთა ინტერვიუს დროს დასტურდება, რომ საბაზო საფეხურზე მოწყობილი სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლებ იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშვს აქვს შემოქმედებით პროცესშ აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა.

ტექნოლოგიები	სასკოლო კურიკულუმი მკაფიოდ ორიენტირებულია მოსწავლეზე, რაც ნათლად აისახება როგორც პედაგოგის მიერ განხორციელებულ პროექტებში, ასევე ინტერვიუს დროს განხილულ კომპლექსურ სასწავლო დავალებებში. წარმოდგენილი მასალები და დოკუმენტაცია გვიჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი ეფექტურად მიმდინარეობს კურიკულუმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. მოსწავლეთა ნაშრომები, როგორც პრაქტიკული მაგალითები, ადასტურებს, რომ კურიკულუმი ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი სტრუქტურისა და მიზნების შესაბამისად. სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობების მრავალფეროვნება ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ შემოქმედებით პროდუქტებზე დაკვირვებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი ხორციელდება დაგეგმილის შესაბამისად. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლებისას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დავალებებს არჩევენ ისე, რომ მისი შესრულება საინტერესო და ამავდროულად დაძლევადი იყოს მოსწავლეებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლაში, ყველა საგნობრივ კათედრაზე, დამკვიდრებულია მაღალი **თანამშრომლობითი კულტურა** და **მოქნილად რეაგირების უნარი**.

პედაგოგები ინტენსიურად თანამშრომლობენ, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან კოლეგების გაკვეთილებს და ერთობლივი ძალისხმევით უმკლავდებიან გამოწვევებს. ეს გარემო უზრუნველყოფს, რომ მასწავლებლები საჭიროებისამებრ მოქნილად მოქმედებენ, რაც გამოიხატება:

- საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის მუდმივ ანალიზში.
- კურიკულუმებისა და შეფასების რუბრიკების დროულ გადახედვაში.
- სასწავლო პროცესში მოსწავლეთა განსხვავებული ხედვებისა და უნარების გამოყენებაში.

შესაბამისად, სკოლის პროფესიული გარემო ხელს უწყობს როგორც პედაგოგების განვითარებას, ისე მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დანერგვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

.....
.....

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებული შეფასების რუბრიკები ძირითადად მეორე თაობის ე.ს.გ. შესაბამისია, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა სააზროვნო და სოციალური უნარების განვითარების შეფასების გამჭირვალობას, სამართლიანობასა და სანდოობას, თუმცა მწვირედ მაგრამ მაინც კათედრას აქვს წარმოდგენილი ,კერძოდ, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ,რომლებიც დაფუძნებულია თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით., რაც მოსწავლეებს აახლოებს ესგ-ით გათვალისწინებულ შედეგებთან და მიზნებთან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ,რომ მოსწავლეთა შეფასება არის ვალიდური, რადგან მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც აქვს მასწავლებელს განზრახული. შეფასება

	არის გამჭვირვალე, მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდებიან ისინი. იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	ინტერვიუსას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ რუბრიკებს და იციან რაში როგორ ფასდებიან. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი არის გამჭვირვალე. რაც შეეხება სანდოობას, წარმოდგენილი რუბრიკების კრიტერიუმები არის ცალსახა და არ იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას, მაგრამ რიგ შემთხვევებში ისინი არ შეესაბამება თავად რუბრიკის არსს და ამდენად, **არის ნაკლებად ვალიდური.** მაგალითად, რუსული ენის 7,8,9 კლასების შეფასების რუბრიკა, რომლითაც ფასდება წერის უნარ-ჩვევები, ერთ-ერთ კრიტერიუმად მითითებულია ინფორმაციის მოსაპოვებლად საჭირო კითხვების დასმა, და ასევე, მოქმედებათა თანმიმდევრობის ამოცნობა. აღნიშნული კრიტერიუმები არ არის რელევანტური მოსწავლის წერითი უნარების შეფასებისთვის. ზოგიერთი რუბრიკის ქულობრივი ზღვარი სცილდება 10 ქულას და არაა წარმოდგენილი მისი 10 ბალიან სისტემაში კონვერტაციის სქემა. ასევე, რიგ შემთხვევებში რუბრიკის ქულობრივი ჯამი არის 10 ზე ნაკლები. მაგალითად, საკლასო სამუშაოს/საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის რუბრიკაში. რუბრიკების დიდ ნაწილში კრიტერიუმებს მინიჭებული აქვთ ქულათა გარკვეული დიაპაზონი და აღარაა დაკონკრეტებული თუ რის საფუძველზე ხდება მისი გრადაცია შეფასებისას. მაგალითად, ერთ-ერთ რუბრიკაში (ინგლისური 7,8,9 კლასები) მოცემულია კრიტერიუმი ''უცნობი სიტყვების ამოცნობა კონტექსტის მიხედვით'', რომელიც ფასდება შემდეგნაირად: 1-3 ქულა, 4-5 ქულა, 6-7ქულა, 8-10 ქულა. არაა მითითებული როდის უნდა დაიწეროს 8-10 ქულობრივ დიაპაზონში 9 ქულა, რა შემთხვევაში უნდა დაწეროს მასწავლებელმა 6 ან 7 ქულა და ა.შ., რაც ვერ უზრუნველყოფს სამართლიანობისა დ ობიექტურობის დაცვას. მსგავსი ხარვეზებია თითქმის ყველა განმსაზღვრელ რუბრიკაში. **გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზი:**

	რუბრიკების ნაწილი არ არის ვალიდური იმდენად, რამდენადაც მათი კრიტერიუმების ნაწილი არ შეესაბამება რუბრიკის არსს. ასევე, არაა წარმოდგენილი 10 ბალიან სისტემაში ქულების კონვერტაციის წესი იმ რუბრიკებისთვის, რომელთა ქულობრივი ჯამი სცილდება 10 ქულას. გარდა ამისა, ზოგიერთი მათგანის ქულობრივი ჯამი ნაკლებია 10 ქულაზე. რუბრიკების ნაწილი არ არის ობიექტური და ვერ უზრუნველყოს სამართლიანობის დაცვას რადგან კრიტერიუმები ფასდება გარკვეული ქულობრივი დიაპაზონით და არაა გაწერილი რის საფუძველზე ხდება გრადაცია და რომელ შემთხვევაში რა ქულა უნდა დაიწეროს. **სკოლამშესაბამისობის გეგმით წარმოადგინა განახლებული რუბრიკები** **რუბრიკები ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებს, თუმცა რიგ შემთხვევებში არის ზოგადი და არაა მოცემული კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები. რუბრიკების ქულათა ჯამი სცილდება 10 ქულას და არაა მოცემული კონვერტაციის პრინციპი.** **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი** **რჩევა;** გადაიხედოს უცხოური ენების შეფასების რუბრიკები, გაიწეროს ისინი კონკრეტულ დავალებებთან მიმართებით და თან ახლდეს 10 ბალიან სისტემაში კონვერტაციის პრინციპი. .
ესთეტიკური აღზრდა	კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის, რომლის მთავრი კომპონენტი ობიექტურობის დაცვაა, რაც ხაზგასმით ადასტურებს რომ შეფასება არის სანდო და ვალიდური. ორივე საგანში -ხელოვნება ,მუსიკა ვიყენებთ როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტს განმავითარებელი შეფასებისთვის და აქვს შედგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკების საჭიროებს დახვეწას, მასწავლებლებს, აქვთ მზაობა დახვეწონ და გაამრავალფეროვნონ შეფასების რუბრიკები **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები. შეფასების ინდიკატორებს მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და განიხილავენ მათთან ერთად. კათედრას აქვს მზაობა შექმნას ისეთი შეფასების სისტემა, რომელიც იქნება სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით მასწავლებელი იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შედეგებზე დაფუძნებულ რუბრიკებს, როგორც განმავითარებელი შეფასებისთვის, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის. შეფასების კრიტერიუმებს აცნობენ მოსწავლეებს. კათედრას აქვს მზაობა შექმნას ისეთი შეფასების სისტემა, რომელიც იქნება სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	მასწავლებელი ფლობს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს(პრეზენტაცია), ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდასა და სორტში შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობის, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ მასწავლებლები მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის განსაზღვრის მიზნით იყენებენ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლის შედეგებზე. აღნიშნული რუბრიკები გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი

	შეფასებისათვის. მოსწავლეებს წინასწარ ეცნობებათ შეფასების კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. კათედრას გააჩნია მზაობა და ხედვა ჩამოაყალიბოს შეფასების სისტემა, რომელიც იქნება სანდო, ვალიდური და მიზანმიმართული სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მათ წინასწარ აცნობენ ბავშვებსა და მშობლებს, თუმცა, შეფასების ვალიდურობისა და სანდოობის დასადასტურებლად, პირველ რიგში საჭიროა ის მოერგოს სტანდარტს - თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით და ისე დაინერგოს პრაქტიკაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

.....კოლაში დანერგილია და ფუნქციონირებს შეფასების ვერიფიკაციის სისტემა, რომელიც როგორც ფორმალურ, ისე პრაქტიკულ დონეზე მოქმედებს და დადებითად არის შეფასებული.

- **სისტემის სტრუქტურა:** ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის, პროცესისა და მტკიცებულებების ვალიდურობის დადგენა. მტკიცებულებების შემოწმება ხდება რისკ-ფაქტორებზე (მაგ. დამწყები მასწავლებელი) დაფუძნებული შერჩევის პრინციპით.
- **პრაქტიკული განხორციელება:** კათედრები რეგულარულად განიხილავენ და აანალიზებენ მოსწავლეთა მიღწევებს, შეფასების სისტემებისა და რუბრიკების ეფექტიანობას. პროცესის მონიტორინგს ახორციელებს ადმინისტრაცია.
- **მიზანი და სამომავლო ხედვა:** სისტემის მთავარი მიზანია შეფასების ობიექტურობის დადგენა და მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა. სკოლას აქვს მზაობა და ხედვა, რომ მუდმივად დახვეწოს ეს მექანიზმი გრძელვადიან უნარებსა და გამჭოლ კომპეტენციებზე ფოკუსირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემებისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის დადგენილი წესი.

სკოლა მონაცემებს კანონმდებლობით განსაზღვრული, არანაკლებ 3 წლის ვადით ინახავს. ამ მიზნით გამოიყენება რამდენიმე მექანიზმი:

- **განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მხარდაჭერილი ელექტრონული ჟურნალი,** რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების ცენტრალიზებულ აღრიცხვასა და შენახვას.
- **მოსწავლის პირადი საქმე,** სადაც ასევე ფიქსირდება შეფასებები.
- **მოსწავლეთა ნამუშევრები,** რომლებსაც პედაგოგები ინახავენ როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით.

ამასთანავე, სკოლაში დაცულია მოსწავლეთა პერსონალური მონაცემები, რაც შესაბამისი ხელშეკრულებებით რეგულირდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმი

შესრულებული პროექტული დავალებები მათემატიკაში

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

კურიკულუმები

რუბრიკები
გაკვეთილის გეგმები
.....

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ვიზიტის დროს მასწავლებლებთან საუბრისას გაირკვა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. თუმცა გადმოგზავნილ მასალებში არსებული ბმულების ნაწილი არ გაიხსნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში განსაზღვრულია ძირითადი და დამხმარე რესურსები, მაგალითად სასწავლო წიგნები, მასწავლებლების მიერ მომზადებული მასალა, ასევე დამხმარე რესურსები -ინტერნეტ რესურსები, გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ რესურსებს იყენებენ გეგმიურად და განსაზღვრავს ,რომელ ეტაპზე და როგორ გამოიყენოს თითოეული რესურსი **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	მასწავლებლები იყენებენ იმ რესურსებს, რომლებიც კურიკულუმშია მითითებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში ჩაშენებულია სასწავლო რესურსები, როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოს ასევე დამატებით რესურსების სახით . **რჩევა**

	სასურველია დამატებითი რესურსები ყველა თემის ფარგლებში ჩაშეშდეს და ის რესურსები რაც წარმოდგენილია ბმულების სახით იყოს მოქმედი. რამდენიმე ბმული არ ფუნქციონირებს . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში განსაზღვრულია ძირითადი და დამხმარე რესურსები, მაგალითად, სასწავლო წიგნები, ინტერნეტ რესურსები… სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოშიც ყველა კლასში ყველა თემისთვის დაკონკრეტდეს დამხმარე და ძირითადი რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე მითითებულია ძირითადი (გრიფირებული) და დამხმარე რესურსები - სასწავლო პროცესში გამოყენებული სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსების ლინკები. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია შესრულებული პროექტული დავალებები, მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მითითებულ რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	მასწავლებლებმა ვიზიტის აღნიშნეს რომ იყენებენ ძირითად და დამხმარე რესურსებს სკოლის ინფრასტრუქტურიდან და მატერიალური ბაზიდან გამომდინარე **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმში წარმოდგენილია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები, მათ შორის ბმულების სახით მოცემული მასალები. გამომდინარე იქიდან, რომ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გრიფირებული სახელმძღვანელო ამ ეტაპზე არ არსებობს, მასწავლებელი სასწავლო პროცესში ძირითადად ეყრდნობა პორტალს **school.emis.ge**, რომელიც ითვლება მთავარი რესურსის წყაროდ. გარდა ამისა, გამოყენებულია მრავალი დამატებითი და

	მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რაც აუმჯობესებს სწავლების ხარისხს და ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შესწავლილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს სხვადასხვა საგანში, მაგ: ,,მე და საზოგადოებაში", სახელმწიფო ენაში, თუმცა, შედარებით მწირადაა წარმოდგენილი რესურსები ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკაში. **სასურველია** გაამდიდრონ კურიკულუმები საინტერესო და მრავალფეროვანი რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან საუბრისას აღინიშნა, რომ გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსი შესაბამისობაში მოდის კურიკულუმით განსაზღვრულ შესასწავლ თემასთან და საკითხთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	გასაუბრების შედეგად გამოვლინდა ,რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რადგან ის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა დაცვისთვის ,რომ არ მიიღოს გადაუმოწმებელი არასწორი ინფორმაცია ,აღნიშნეს, რომ რესურსი აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს საგნის კონკრეტულ თემატიკას ,ასაკობრივ დონეს და პროგრამას **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ რელევანტური რესურსები. მათი თქმით, რესურსები არის კურიკულუმებში მოცემული თემების შესაბამისი, თუმცა წარმოდგენილი კურიკულუმებით ჭირს ამის დადასტურება იმდენად, რამდენადაც ლინკების ნაწილი არის ზოგადი, ხოლო უმეტესი ნაწილი არ ფუნქციონირებს. ასევე ხშირ შემთხვევებში სახელმძღვანელოების დასახელებები არის ზოგადი, ბუნდოვანი და ერთეულ შემთხვევებში არასწორი ავტორების ჩათვლით. ,გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზი: კურიკულუმებში წარმოდგენილი ლინკების ნაწილი არის ზოგადი, ხოლო უმეტესი ნაწილი არ ფუნქციონირებს, რის გამოც რთულია ვთქვათ რამდენად არიან ისინი კურიკულუმში წარმოდგენილი მასალის შესაბამისი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** რჩევა : გასწორდეს ყველა ლინკი, რათა შესაძლებელი იყოს წარმოდგენილი რესურსების ვალიდურობის დადასტურება კურიკულუმით განსაზღვრულ თემებთან მიმართებით. ასევე სახელმძღვანელოების დასახელებები იყოს სწორი და სრული.
ესთეტიკური აღზრდა	კათედრა უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ვალიდაციას, კურიკულუმში მითითებულია თემის და ასაკის შესაბამისი სასწავლო რესურსი, თუმცა რამდენიმე ინტერნეტ რესურსის ბმული არ არის მოქმედი და ვერ დგინდება მისი ვალიდურობა **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა** სასურველია გასწორდეს და გახდეს მოქმედი ყველა დამატებითი რესურსის ბმული.
სახელმწიფო ენა	მითითებული რესურსებიდანაც იკვეთება და მასწავლებლებმაც აღნიშნეს, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რომ ის აუცილებლად უნდა იყოს შესაბამისი ასაკის, თემის..

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	მათემატიკის კათედრა უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ვალიდაციას, კურიკულუმში მითითებულია თემის და ასაკის შესაბამისი სასწავლო რესურსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდასა და სპორტში უზრუნველყოფს დამხმარე რესურს როგორც თეორიული ასევე პრაქტიკულის შესრულების დროს ვალიდურობას **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა აქტიურად ზრუნავს სასწავლო რესურსების სანდოობისა და ვალიდაციის უზრუნველყოფაზე. მათთვის პრიორიტეტულია, რომ მოსწავლეებმა მიიღონ მხოლოდ დადასტურებული და ზუსტი ინფორმაცია, რაც აუცილებელია მათ ინტელექტუალურ და უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოში განვითარებისთვის. რესურსების შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მათ შესაბამისობას საგნის შინაარსთან, თემატურ ხაზთან, მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. კათედრებზე განიხილება ეს საკითხი და მიიღება შეჯერებული გადაწყვეტილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს და ფოტომასალის მოწოდების საფუძველზე გაირკვა, რომ სკოლას არ აქვს ცალკე გამოყოფილი საბუნებისმეტყველო კაბინეტი. აქვთ პატარა სათავსო ოთახი ,სადაც ინახება ბიოლოგიის სწავლებისთვის განკუთვნილი მულაჟები, მაკეტები, ქიმიის ცდებისთვის სინჯარები და ახლად შეძენილ რეაქტივები. ვიზიტის დროს გამოიკვეთა შემდეგი **ხარვეზი** სკოლას არ აქვს ფიზიკის ცდებისთვის საჭირო ხელსაწყოები. არ არის ლაბორატორიაში მუშაობისთვის შესაბამისი პირობები, ოთახს არ აქვს გამწოვი, არ არის სადემონსტრაციო მაგიდა, სადაც უსაფრთხოდ ჩატარდება საჩვენებელი ცდები. ქიმიის ცდებისთვის განკუთვნილი რეაქტივები არ არის შენახული და დაცული შესაბამისი ლაბორატორიული წესით გათვალისწინებული. სსიპ -სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ უშაფათის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმაში არსებული დანართების მიხედვით სკოლამ ჩუქების აქტის საფუძველზე შეიძინა და დაამონტაჟა გამწოვი; ასევე სკოლამ წარმოადგინა 16.04.2024 წელს დადებული ხელშეკრულება შპს ,,GT Group'' _თან, რომლის საფუძველზეც სკოლას უნდა შეეძინა საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, თუმცა მოხდა დაფინანსების კუთხით შეფერხება. ამჟამად, არსებული რესურსებისა და მტკიცებულებების მიხედვით, როგორც მცირეკონტიგენტიანი სკოლა მეტწილად აკმაყოფილებს სასწავლო პროცესის მსვლელობას

	ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი რეკომენდაცია: 2025 წლის 02 სექტემბრამდე სკოლამ უზრუნველჰყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა (კერძოდ, ლაბორატორია აღჭურვოს ფიზიკის ცდებისთვის საჭირო ხელსაწყოებით).
საზოგადოებრივი მეცნიერებები	იმის გათვალისწინებით რომ სკოლა მცირე რიცხოვანია, სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი და იგი უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა მცირეკონტიგენტიანია. სკოლის მიერ უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მიღწევა შესაბამისი მატერიალური რესურსით . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	როგორც კათედრის წევრებმა აღნიშნეს, სკოლა მცირერიცხოვანია, სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ვიზიტის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ სკოლა უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით შესაბამისი მოსწავლეთა კონტიგენტის მიხედვით მოსწავლები ჩართული არინ სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში სკოლი ბაზიდან გამომდინარე **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია კომპიუტერული ლაბორატორია სადაც გააჩნია საკმარისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკა. გარდა ამისა სკოლას გადაეცა ლეპტოპები რომელსაც იყენებს საჭიროებისამებრ, ეს ყველაფერი ასახული აქვს ციფრული ტრანსფორმაციის გეგმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა მცირეკონტიგენტიანია, თუმცა რეაბილიტირებული, რომელსაც აქვს ყველა საჭირო მატერიალური რესურსი სასწავლო პროცესის გამართული ფუნქციონირებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან იკვეთება, რომ საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლების ძირითად ნაწილს დადასტურებული აქვთ კომპეტენცია. თუმცა, საგნებს მუსიკა ,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

ასწავლიან მოწვეული მასწავლებლები, რაც დასტურდება დირექტორის ბრძანებით [ბრძანება 1ს/კ-7;დათარიღებული 29.05.2025].თუმცა რა მიზეზით ჩანაცვლდა ძირითადი მასწავლებელი მოწვეულით, ან რა ფაქტორებმა განაპირობა მასწავლებლის მოწვევა სკოლაში ბრძანებაში არ არის აღწერილი. მოწვეულ პედაგოგებს არ აქვთ დადასტურებული კომპეტენცია აღნიშნულ საგნებში .

გამოიკვეთა ხარვეზი:

- დაწყებით საფეხურზე სახელმწიფო ენის მასწავლებლებს არა აქვთ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის კომპეტენცია დადასტურებული
- სკოლას არ ჰყავს კვალიფიციური კადრი არცერთ საფეხურზე საგნებში მუსიკა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში
- სკოლას არ ჰყავს არცერთი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი, რომელსაც აქვს დადასტურებული კომპეტენცია. დაწყებით საფეხურზე სწავლებას ახორციელებენ ან ზედა საფეხურის სერტიფიცირებული მასწავლებლები, ან მოწვეული უსტატუსო მასწავლებლები. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ისინი სკოლამ მოიწვია 2023 წლის 14 სექტემბერს.

სკოლამ წარმოდგინა შესაბამისობის გეგმა რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მიღებას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი

რეკომენდაცია : სკოლამ გამოაცხადოს ვაკანსია და საჭირო წესების დაცვით უზრუნველყოს სკოლაში კვალიფიციური კადრის აყვანა დაწყებით საფეხურზე.

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებებისა

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმი

ბუნებისმეტყველება:

- სტანდარტი1; ფაილი N7 სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- N9 7წლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა
- სტანდარტი2საგნობრივი კურიკულუმები
- საქაღალდე: კომპლექსური დავალებები
- დანართი 2 პროექტები
- საქაღალდე ბუნება 2025
- საქაღალდე : დამატებითი დოკუმენტაცია უშაფათი
- საქაღალდე: ვიზიტის დროს წარმოდგენილი

სახელმწიფო ენა

საგნობრივი კურიკულუმები

კომპლექსური დავალებები

ისგ

შეფასების რუბრიკები

სახელმძღვანელოების ჩამონათვალი

ურთიერთდასწრების ოქმი

გაკვეთილის გეგმები

პროექტები

კურიკულუმები

გაკვეთილის გეგმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას გააჩნია კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც დირექციისა და კათედრების თანამშრომლობას ეფუძნება.

პროცესის არსი და მიმდინარე პრაქტიკა:

- **მიზნები:** მონიტორინგი მიზნად ისახავს მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას და თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებას.
- **განხორციელება:** პროცესი ძირითადად კათედრების სხდომებზე მიმდინარეობს, სადაც მასწავლებლები აგროვებენ მონაცემებს და აანალიზებენ სასწავლო პროცესს. თუმცა, ეს განხილვები ხშირად ზეპირსიტყვიერია.

გამოწვევები და სამომავლო ხედვა:

გამოიკვეთა, რომ მონიტორინგის კონკრეტული, პრაქტიკული მექანიზმები და ანალიზის ფორმები დასახვეწია და შემუშავების პროცესშია. სკოლას აქვს სწორი ხედვა და გეგმა, რომ შექმნას უფრო ეფექტური და ფორმალიზებული სისტემა, რომელიც დაგეგმილ და რეალურ შედეგებს შორის შესაბამისობის დადგენის უკეთეს საშუალებას მისცემს.

ინდიკატორი
დაკმაყოფილებულია.....
.....
.....

2.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

პრობლემების იდენტიფიცირება: გამოწვევებისა და საჭიროებების გამოვლენა ხდება მრავალმხრივ: დირექციის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით, მასწავლებლების თვით რეფლექსიით, კოლეგების ურთიერთდასწრებითა და კათედრებზე ერთობლივი განხილვებით.

გადაჭრის გზების ძიება: გამოკვეთილი პრობლემების საპასუხოდ, პედაგოგები კოლეგიალურად ეძებენ გადაჭრის გზებს და გეგმავენ კონკრეტულ ქმედებებს. ისინი ითვალისწინებენ როგორც კოლეგების, ისე ხარისხის ჯგუფის მიერ გაცემულ უკუკავშირს.

სამომავლო ხედვა: სამომავლოდ, პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის პროცესის გასაძლიერებლად, რეკომენდებულია აქცენტის გაკეთება სადიაგნოსტიკო კვლევებსა და შეფასებებზე დაფუძნებული ანალიზის დანერგვაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა აღქმულია, როგორც მხარდამჭერი და განმავითარებელი მექანიზმი. შეფასებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, პედაგოგები ეყრდნობიან არა მხოლოდ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ არსებულ სხვა ინფორმაციასაც, როგორიცაა სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები და საჭიროებები, რომელთაც კოლეგებისგან, დამრიგებლებისგან და დაკვირვების შედეგად იღებენ.

მონიტორინგის პროცესი მოიცავს საგაკვეთილო დაკვირვებებს, პედაგოგების თვით რეფლექსიასა და კათედრებზე გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. მისი მთავარი მიზანია საჭიროებების გამოვლენა, მიღწევებისა და პრობლემების გაანალიზება და გამოწვევების საპასუხოდ შესაბამისი გზების დაგეგმვა.

სკოლას აქვს ხედვა და გეგმა, რომ ეს სისტემა მუდმივად სრულჰყოს, რათა იგი დაეყრდნოს წარსულ გამოცდილებას, გაუმჯობესოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მტკიცებულებების საფუძველზე ხელი შეუწყოს სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვასა და სკოლის მომავალი განვითარებისთვის ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბუნებისმეტყველება:

- სტანდარტი1; პდფ ფაილი N7 სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- პდფ N9 7წლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა
- სტანდარტი2საგნობრივი კურიკულუმები
- საქაღალდე:კომპლექსური დავალებები
- დანართი 2 პროექტები
- საქაღალდე ბუნება 2025
- საქაღალდე : დამატებითი დოკუმენტაცია უშაფათი
- საქაღალდე: ვიზიტის დროს წარმოდგენილი

.....
.....
.....

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლა მიისწრაფვის, რომ მოსწავლის შეფასება იყოს კომპლექსური და მრავალმხრივი, რისთვისაც იყენებს შეფასების მრავალფეროვან წყაროებს.

- **მიდგომა და წყაროები:** აკადემიური მოსწრების შესაფასებლად გამოყენებული რუბრიკების გარდა, ინფორმაცია გროვდება დამრიგებლებისგან, არაფორმალური აქტივობების ხელმძღვანელებისგან, მშობლებისა და სხვა პირებისგან, რაც მოსწავლის ჰოლისტური შეფასების საფუძველს ქმნის. მაგალითად უცხოური ენების კათედრაზე მოსწავლეები ფასდებიან სხვდასხვა კრიტერიუმებით, ასევე ხდება მათ სასწავლო პროცესზე დაკვირვება და დინამიკაში შეფასება მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს სწორი მიდგომა შეფასებისადმი, პრაქტიკაში გამოყენებული ინსტრუმენტები (განსაკუთრებით შეფასების რუბრიკები) საჭიროებს სერიოზულ გაუმჯობესებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

რჩევა: შემდგომში სპორტის მიმართულებით სასურველია სკოლამ განმსაზღვრელი შეფასების გადამუშავების დროს და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი და სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი.

რჩევა: საზ მეცნიერების მიმართულებით .შეფასება მოიცავდეს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვება უნდა ეყრდნობოდეს სხვადასხვა წყაროებს.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასება **მრავალმხრივი და კონტექსტზე მორგებულია**, რაც გულისხმობს, რომ აკადემიური მოსწრების გარდა, მხედველობაში მიიღება ყველა ის ფაქტორი, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მოსწავლის პროდუქტიულობაზე.

- **შეფასების პრინციპები და მეთოდები:** პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის სოციალურ პირობებს, პირად მახასიათებლებსა და ინტერესებს, რისთვისაც ინფორმაციას აგროვებენ პირდაპირი დაკვირვებით, მშობლებთან და კოლეგებთან კომუნიკაციით. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტები, მათ შორის, განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები და კომპლექსური დავალების შეფასება სოლო ტაქსონომიით.
- **გამოწვევები და სამომავლო ხედვა:** ამასთან, გამოიკვეთა, რომ ფიზიკური აღზრდის მიმართულებით შეფასების რუბრიკები დახვეწას საჭიროებს. სკოლას აქვს მზაობა, შეიმუშაოს კიდევ უფრო მრავალფეროვანი შეფასების მეთოდები და გააგრძელოს ამ კომპონენტის სრულყოფაზე მუშაობა, რათა შეფასება უფრო სიღრმისეულად ასახავდეს მოსწავლის შესაძლებლობებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

.....სკოლაში მოსწავლეთა შეფასებისას, ვალიდური და ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად, გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, რაც დადებითად არის შეფასებული. პედაგოგები აცნობიერებენ, რომ მოსწავლის მრავალმხრივი შეფასებისთვის აუცილებელია საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა.

პრაქტიკაში გამოიყენება როგორც კვლევითი მეთოდები (ანკეტირება, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი), ისე სასწავლო პროცესზე მორგებული აქტივობები და ინსტრუმენტები, როგორიცაა: დისკუსია, ექსპერიმენტი, ტესტირება, მოსწავლეზე დაკვირვება და სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკა.

ამ მეთოდების მიზანია მოსწავლის მრავალმხრივი, ჰოლისტური შეფასება და მისი ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა. პედაგოგებს აქვთ მზაობა, რომ მომავალში კიდევ უფრო გაამრავალფეროვნონ თავიანთი პრაქტიკა ამ მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

.....
.....

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება მულტი ფაქტორული მიდგომით, რაც გულისხმობს მრავალი შიდა და გარე ფაქტორის გათვალისწინებას.

- გათვალისწინებული ფაქტორები: პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს , მის ინტერესებს , ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს , ასაკობრივ თავისებურებებსა და კლასის საერთო მომზადების დონეს. სკოლა ასევე აანალიზებს იმ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს მოსწავლეთა ჩართულობას.
- პრაქტიკული გამოყენება: ამ ფაქტორების დასადგენად მასწავლებლები მჭიდროდ თანამშრომლობენ მშობლებთან და დამრიგებლებთან. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ სტრატეგიებს (ჯგუფური, წყვილური მუშაობა).
- სამომავლო ხედვა: სკოლას აქვს მზაობა, რომ ეს მიდგომა კიდევ უფრო განავითაროს და დახვეწოს , რაც სამომავლოდ მეთოდოლოგიურ დოკუმენტებში აისახება

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
შეფასების რუბრიკები
თვითშეფასების კითხვარი
ინტერვიუ
.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლაში კურიკულუმის განვითარება აღქმულია, როგორც **უწყვეტი, ციკლური პროცესი**, რომელიც მუდმივ გადახედვას, რევიზიასა და დახვეწას გულისხმობს.

- **პროცესის საფუძველი:** გადასინჯვის პროცესი ეფუძნება წინა წლის პრაქტიკული გამოცდილების, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზს. ეს განხილვები ძირითადად კათედრების დონეზე ხორციელდება, სადაც მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას.
- **მიზანი და შედეგი:** ანალიზის საფუძველზე დგება რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის გაუმჯობესებული და სკოლის ხედვაზე მორგებული მოდელის შექმნას ემსახურება.
- **სამომავლო ხედვა:** სკოლას აქვს გეგმა, რომ მომავალში კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი (განსაკუთრებით მშობლები და მოსწავლეები) უფრო აქტიურად ჩართოს. მიუხედავად იმისა, რომ სარეკომენდაციო პაკეტის შექმნის გამოცდილება ამ ეტაპზე მცირეა, სკოლა მზად არის ამ მიმართულებით იმუშაოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

.....

.....

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის ყველა საგნობრივ მიმართულებაზე, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება **წინა წლის პრაქტიკულ გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

- **პროცესის არსი:** კათედრების დონეზე ხდება სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული მიგნებებისა და რეფლექსიების გაანალიზება, რაც ახალი, გაუმჯობესებული კურიკულუმის დაგეგმვის საფუძველს ქმნის. ეს პროცესი, სკოლის მეთოდოლოგიის თანახმად, სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას გულისხმობს.
- **მიზანი და რეკომენდაცია:** მიზანია, რომ ახალ ვერსიაში დახვეწილი იყოს ისეთი კომპონენტები, როგორიცაა სასწავლო რესურსები, კომპლექსური დავალების პირობები და აქტივობები, რათა კურიკულუმი მაქსიმალურად მიუახლოვდეს დასახულ სასწავლო მიზნებს.
- **მზაობა:** პედაგოგები ყველა კათედრაზე ადასტურებენ, რომ ეს პრაქტიკა დამკვიდრებულია და მომავალშიც გაგრძელდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

რჩევა. სკოლამ ყოველწლიურად უნდა შეიმუშავოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება შემდეგი მიმართულებით: სავალდებულო თემის ფარგლებში ძირითადი საკითხების გამოკვეთა/, ძირითადი კონტექსტ-მაგალითის ამსახველი რესურსის დახვეწა/სხვა რესურსებით ჩანაცვლება; ძირითადი კონტექსტ-მაგალითის გაყვანა სხვა ქვესაკითხებზე, ქვეცნებებსა და სამიზნე ცნებებზე; კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება, შემოქმედებითი პროდუქტის ცვლილება; აქტივობებისა და დამატებითი რესურსების ჩანიშვნა, ასახვა, რომლებზე დაყრდნობითაც ეფექტურად მოხერხდა სამიზნე ცოდნის კონსტრუირება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბუნებისმეტყველება:

- სტანდარტი1; ფაილი N7 სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- N9 7წლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა
- სტანდარტი2საგნობრივი კურიკულუმები
- საქაღალდე: კომპლექსური დავალებები
- დანართი 2 პროექტები

- საქაღალდე ბუნება 2025
- საქაღალდე : დამატებითი დოკუმენტაცია უშაფათი
- საქაღალდე: ვიზიტის დროს წარმოდგენილი

.....
.....
.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

თარიღი 27.08.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ვარდენ ნიქაბაძე/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნიკოლოზ წულაია -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ლია ბოგვერაძე- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ეკატერინე გავაშელიშვილი-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ნინო ბლუაშვილი-უცხო ენების საგნობრივი ექსპერტი;

ნინო ზირაქაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;



ტოლია კილასონია- ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;



თეა გაბისონია-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ციცინო თორია-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;



ედუარდ ნაკაიძე- სპორტის საგნობრივი ექსპერტი;



მანანა როსტომაშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური საგნობრივი ექსპერტი.